კვირეული „ვერსია“ ერთი

ვერსია

№29 (1619) 27 ივლისი — 2 აგვისტო ოთხშაბათი 2022 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

საზარელი კრიმინალი – ადვოკატი ცოლი მოკლეს, ქმარი კი დაჭრეს

როგორ იძია შური მამაკაცმა ყოფილ საცოლეზე

შეასრულებს თუ არა სალომე ზურაბიშვილი ქართულ პოლიტიკაში დეტონატორის ფუნქციას

„ეს დემოკრატიის ძალიან მარტივი და გულუბრყვილო გააზრებაა“ – ვახტანგ ძაბირაძის პოლიტანალიზი

„გარიაჩი კუკურუზ“ ანუ რატომ ვეგებით ფიანდაზად რუს ტურისტებს აჭარაში

125 დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

ბიჭვინთის კრიზისი – „აფხაზებს რუსეთისთვის ვალის გადახდის დღე დაუდგათ!“

პაატა დავითაია: „აფხაზების იდენტობის გადარჩენის ერთადერთი შანსი ქართველებთან ურთიერთობის შენარჩუნებაა“

შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკანონო ბრუნვიდან ამოღებული 2 მილიონნახევარ ლარამდე ღირებულების ნარკოტიკული საშუალებები გაანადგურა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის თანამშრომლებმა მთელი ქვეყნის მასშტაბით, სხვადასხვა დროს ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად ნივთმტკიცებად ამოღებული ნარკოტიკული საშუალებები გაანადგურეს. ნარკოტიკების განადგურების პროცესს სპეციალური მუდმივმოქმედი კომისიის წევრები ესწრებოდნენ.

საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის თანამშრომლები ნარკოტიკებსა და ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს შინაგან საქმეთა მინისტრის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე, სასამართლოს განაჩენის შემდეგ, სპეციალური მუდმივმოქმედი კომისიის წევრების თანდასწრებით, ეტაპობრივად ანადგურებენ.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაანადგურა უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებები, რომელთა საერთო ღირებულება ე.წ. შავ ბაზარზე დაახლოებით 2 მილიონნახევარ ლარს შეადგენს:

2 553 აბი „სუბუტექსი“; 2 627.87 გრამი „კოკაინი“; 1 368 გრამი „ჰეროინი“; 94 გრამი „მეტადონი“; 53 065 კგ. „მარიხუანა“; 753 კგ. „კანაფი“; „ამფეტამინის“ შემცველი 352 აბი; 67 გრამი ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება; 1 050 ცალი ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების შემცველი ფირფიტის ნაჭრები; „პრეგაბალინის“ შემცველი 1 144 კაფსულა.

სამართალდამცველებმა უკანონო ბრუნვიდან ნივთმტკიცებად ამოღებული ნარკოტიკები მაღალტემპერატურულ ღუმელში, გარემოსდაცვითი თანამედროვე სტანდარტების დაცვით გაანადგურეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ სახელმწიფო საზღვართან გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსება დაიწყო

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციამ, სასაზღვრო რეჟიმს დაქვემდებარებულ ტერიტორიასთან მიახლოებისას ან აღნიშნულ ტერიტორიაზე ყოფნისას პირთა ინფორმირების მიზნით, სახელმწიფო საზღვართან გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსება დაიწყო, რომლებიც სახელმწიფო საზღვრის ზონაში, არაუმეტეს 5 კილომეტრში, სასაზღვრო ზოლში კი 500 მეტრის სიგანის ნაწილში დამონტაჟდება.

სასაზღვრო ზონასა და სასაზღვრო ზოლში გადაადგილების ნებართვასთან დაკავშირებით, როგორც ფიზიკურმა, ასევე, იურიდიულმა პირმა უნდა მიმართოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციას.

შესაბამისი ნებართვის მისაღებად, დაინტერესებულმა პირებმა უნდა შეავსონ „საშვის მაძიებლის განაცხადის“ ფორმა საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ოფიციალურ ვებგვერდზე: https://bpg.gov.ge/page/public-relations/information-for-tourists თან დაურთონ პირადობის მოწმობის ან პასპორტის მონაცემთა გვერდის ასლი და საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. საშვის მიღება შესაძლებელია, როგორც საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში (ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. N12), ასევე, სასაზღვრო პოლიციის რეგიონულ სამმართველოებში და სასაზღვრო სექტორებზე.

2022 წლის 1 სექტემბრიდან, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სახმელეთო მონაკვეთზე დადგენილი სასაზღვრო რეჟიმის დარღვევისთვის, სამართალდამრღვევი პირების მიმართ გამოყენებული იქნება ადმინისტრაციული წესით დაჯარიმების მექანიზმები, რომლებიც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 190-ე მუხლით არის გათვალისწინებული.

სასაზღვრო რეჟიმის წესის დარღვევისთვის დადგენილია შესაბამისი ჯარიმები, კერძოდ:

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სახმელეთო მონაკვეთზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სასაზღვრო რეჟიმის დარღვევა, ჩადენილი ტურისტული, სამეცნიერო-კვლევითი, სამონადირეო, სასოფლო-სამეურნეო ან სხვა არასამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას, გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას 20 ლარის ოდენობით;

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სახმელეთო მონაკვეთზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სასაზღვრო რეჟიმის დარღვევა, ჩადენილი სამრეწველო, სარეწი საქმიანობის, ობიექტის მომსახურების, მშენებლობის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ლიცენზირებადი საქმიანობის ან/და სანებართვო ქმედების ან სხვა სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას – 200 ლარის ოდენობით;

ზემოაღნიშნული ქმედებების განმეორებით ჩადენა გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის – 300 ლარის ოდენობით;

სახელმწიფო საზღვრის დაცვის ობიექტის, სახელმწიფო საზღვრის დაცვის საშუალების ფოტო, ვიდეო ან/და აეროგადაღება გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით;

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სახმელეთო მონაკვეთზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სასაზღვრო რეჟიმის დარღვევა, რამაც გამოიწვია სასაზღვრო განწესის გადაადგილების შეფერხება, გამოიწვევს დაჯარიმებას 250 ლარის ოდენობით;

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სახმელეთო მონაკვეთზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სასაზღვრო რეჟიმის დარღვევა, რამაც გამოიწვია სასაზღვრო ინფრასტრუქტურის (სასაზღვრო ნიშნის, სახელმწიფო საზღვრის დაცვის ტექნიკური საშუალებისა და სხვ.) დაზიანება ან განადგურება, გამოიწვევს დაჯარიმებას 350 ლარის ოდენობით;

ზემოაღნიშნული ერთ-ერთი ქმედებისთვის სახდელდადებული პირის მიერ სახელმწიფო საზღვრის დაცვის ობიექტის, სახელმწიფო საზღვრის დაცვის საშუალების ფოტო, ვიდეო ან/და აეროგადაღება, სასაზღვრო განწესის გადაადგილების შეფერხება ან სასაზღვრო ინფრასტრუქტურის (სასაზღვრო ნიშნის, სახელმწიფო საზღვრის დაცვის ტექნიკური საშუალებისა და სხვ.) დაზიანება/განადგურება, გამოიწვევს დაჯარიმებას 400 ლარის ოდენობით.

https://matsne.gov.ge/ka/document/view/5372552?publication=0#DOCUMENT:1.

პოლიციამ სამ კილოგრამამდე „კოკაინის“ საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1995 წელს დაბადებული, უკრაინის მოქალაქე ს.კ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს.

მას ბრალად ედება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა და საქართველოში უკანონოდ შემოტანა. დანაშაულები 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სამართალდამცველებმა, ბრალდებულის ბარგის შემოწმების შედეგად, მის სამგზავრო ჩანთაში წინასწარ მოწყობილი სამალავიდან, განსაკუთრებით დიდი ოდენობით – სამ კილოგრამამდე ნარკოტიკული საშუალება „კოკაინი“ ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ს.კ.-მ აღნიშნული ნარკოტიკი ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკიდან თვითმფრინავით ჩამოიტანა და საქართველოს ტერიტორიაზე შემოიტანა. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ფონიჭალაში მომხდარი დაჭრისა და მკვლელობის ფაქტი გახსნა – დაკავებულია ორი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების ოპერატიული მთავარი სამმართველოსა და საგამოძიებო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ორი პირი დააკავეს. 1999 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ნ.ვ. დაკავებულია გენდერის ნიშნით ჩადენილი განზრახ მკვლელობის, ასევე, გენდერის ნიშნით ოჯახის წევრისა და ორი პირის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით, ხოლო 1990 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.ჯ. – განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის. გამოძიებით დადგინდა, რომ ნ.ვ.-მ, მიმდინარე წლის 19 ივლისს, ფონიჭალის დასახლებაში, დედა – 1983 წელს დაბადებული ლ.გ. და მისი ნაცნობი მამაკაცი – 1968 წელს დაბადებული რ.მ. დანით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიყენებული ჭრილობების შედეგად, რ.მ. საავადმყოფოში გარდაიცვალა, ხოლო ლ.გ.-ს შესაბამისი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება გაეწია. გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ ნ.ვ. მომხდარიდან მალევე მივიდა თავის მეგობართან – გ.ჯ.-სთან და ჩადენილი დანაშაულის შესახებ უამბო, თუმცა მან აღნიშნული ფაქტი პოლიციას არ შეატყობინა. გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის „თ“ პუნქტით, 11 პრიმა 19-109-ე მუხლის „თ“, „კ“ და „ლ“ პუნქტებით, ასევე, სსკ-ის 376-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც გენდერის ნიშნით ჩადენილ განზრახ მკვლელობას, გენდერის ნიშნით ოჯახის წევრისა და ორი პირის მიმართ ჩადენილ განზრახ მკვლელობის მცდელობას, აგრეთვე, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობას გულისხმობს.

„გარიაჩი კუკურუზ“ ანუ რატომ ვეგებით ფიანდაზად რუს ტურისტებს აჭარაში

ნინო დოლიძე

ამ დღეებში აჭარაში ვიყავი. ბათუმი, ხელვაჩაური, გონიო და კვარიათი შემოვიარე. ის, რომ აჭარა ტურისტული რეგიონია და წელიწადის ამ დროს, იქ თავს ბევრი უცხოტომელი იყრის, გასაკვირი არ არის, მაგრამ იცით, რამ გამაოცა? – ფეხის ყველა ნაბიჯზე, რუსულ სანომრენიშნიან ავტოს შეხვდებით. ეს კიდევ არაფერი, რუსები აჭარას კალიებივით არიან შესეულები და ადგილობრივები ისე მოწიწებით ექცევიან, გეგონება, „ღუბერნატორები“ იყვნენ. სიმართლისთვის უნდა ითქვას, რომ იგივე ბათუმში, ირანელები და თურქებიც მრავლად არიან, მაგრამ ჯერ ერთი, აღმოსავლელი სტუმრები ცდილობენ, მაღაზიასა თუ სხვა მომსახურების ადგილას, დამტვრეული ქართულით მაინც ისაუბრონ და მეორეც, თურქები თუ ირანელები ისე არ თავხედობენ, როგორც რუსები. მოკლედ, რუსები „ნაგლობენ“ და ისე იქცევიან, თითქოს ბატონები იყვნენ და ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები, ვალდებულნი ვართ, მათ მოვემსახუროთ!

ერთი სიტყვით, აჭარა რუსებს მიაქვთ და ეს მაშინ, როცა ჩვენს ქვეყანაში, არცთუ დიდი ხნის წინ, ევროკავშირის, ასე ვთქვათ, მხარადსაჭერი აქციები ჩატარდა. ისე, ახალი წლისა არ იყოს, ევროპის მხარდასაჭერი მიტინგიც ორი, უფრო სწორად, სამი გვქონდა ქართველებს ანუ ჯერ იყო და 16 ივნისს, რიყეზე, ევროპის მოედანზე, მსურველები პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის მოწოდებით შეიკრიბნენ, ორი დღის შემდეგ, 18-ში, ევროპისკენ სწრაფვა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებმა იაგო ხვიჩიას „გირჩის“ მოწოდებით გამოხატეს.

აი, 20 ივნისს კი ხალხი ქუჩაში „სირცხვილიას“ ინიციატივით გამოვიდა. ისე, კარგი იქნებოდა, ერს ერთიანობა ამ საკითხში მაინც გამოეჩინა და ევროპისკენ სწრაფვა ერთობით გამოეხატა, მაგრამ ჩვენ ხომ ის ერი ვართ, რომელიც ერთმანეთს ისეთ უმნიშვნელო რამეზეც კი ჭამს, როგორიცაა, მაგალითად, ფრაზა – „ქრისტე აღდგა“ თუ „ქრისტე აღსდგა“.

დიახ, ქალბატონებო და ბატონებო, ერთმანეთს ტალახს „აღდგა“ – „აღსდგას“ გამოც ვესვრით და დიდი ამბავი, თუ ევროპის სიყვარულშიც ერთმანეთს ცალკ-ცალკე შევეჯიბრეთ, თუმცა რომელ ევროპის სიყვარულზე ვსაუბრობთ, როცა ამ ქვეყანაში თითო-ოროლას მაინც სჯერა, რომ ევროპა ქართველობას „გვართმევს“.

დავუშვათ, ასეა, მაგრამ ქართველობა, რა, ხინკალია, რომ წაგვართვან?!

ძმებო და დებო, ქართველობას ევროპა კი არა, თვით ოკუპანტი რუსეთიც ვერ წაგვართმევს. ამასთან, დროა, იმასაც ჩავწვდეთ, რომ დასავლეთი არც ქრისტიანობას ებრძვის ანუ ადრეც დავწერე და ახლა ვიტყვი, რაც ფალავანდიშვილებსა და მათთან გათანაბრებულებს არ მოეწონებათ, მაგრამ ქრისტიანობა ქართველების ეროვნული რელიგია არ არის. უფრო მეტიც, ქრისტე სამშობლოზე კი არა, კაცთმოყვარეობაზე, შემწყნარებლობაზე ქადაგებდა და მისთვის ნებისმიერი ადამიანი რასის, კანის ფერისა და სექსუალური ორიენტაციის მიუხედავად, მისაღები იყო. ამიტომაც, იმის თქმა, აი, დასავლეთი ქართველობასა და სარწმუნოებას გვართმევსო, ჩვეულებრივი რუსული დემაგოგიაა და მეტი არაფერი!

ზოგადად, დემაგოგია და პროპაგანდა ხალხზე უკეთესად მუშაობს, ვიდრე – სიმართლე. აი, მაგალითად, დამდგარან ვიღაცები და აუჩემებიათ, აბა, ომი გინდათო?

რა შუაშია, ომი ევროკავშირის წევრობასთან? – ეს რომ ვინმემ ჰკითხოს ამ ფრაზის ავტორ-გამმეორებლებს, რასაკვირველია, პირს დააღებენ და რაღაცებს მიედ-მოედებიან, რადგან ევროპელობა „აბა, ომი გინდათ“-ს არ ნიშნავს.

პირიქით, ევროპა მშვიდობის, ადამიანური ცხოვრების მყარი გარანტიაა!

ევროპა იმის გარანტიაც არის, რომ „ქართულ-ჯიგრულად“ ჯიბეს ვერავინ გაისქელებს და თუ მე, თქვენ, ან ნებისმიერ რიგით ადამიანს ვინმე დაჩაგვრას დაუპირებს, ის მოძალადე საკადრისად დაისჯება.

იცით, კიდევ რა არის ევროპა? – რა და, ადამიანი შიმშილით არ მოკვდება და სამსახურს აუცილებლდ ნახავს.

გარდა ამისა, ევროპაში ნიჭიერები არ იჩაგრებიან და მათ გავლენიანი „ბიძია“ არ სჭირდებათ, რომ თავიანთი სიტყვა თქვან!

დიახ, ევროპაში უპირველესი ადამიანია!

ჩვენთან ანუ პოსტსაბჭოთა საქართველოში, რომელიც ვითომ დემოკრატიის ევროპულ გზას ადგას, ყველაფერი ზუსტად ისევ ისეა, როგორც სსრკ-ში იყო ანუ „ნაციონალების“ დროსაც, აქა-იქ, პროტექცია მუშაობდა, მაგრამ ახლა ამ პროტექციამ და „ქართულ-ჯიგრულმა“ ჩაწყობებმა რომ კოლოსალური სახე მიიღეს, ამაზე ბევრი ლაპარაკი არ ღირს.

ამ ფონზე, თავისთავად გასაგებია, რომ „მამიკოს შვილებსა“ და კორუფციონერ „საქმოსნებს“ ევროპა კი არა, „ერთმორწმუნე“ რუსეთი უნდათ, მაგრამ საბედნიეროდ, კოლექტიური ფალავანდიშვილები საქართველოში ცოტანი არიან.

ასე რომ, რუსული დემაგოგია – აბა, ომი გინდათ, აღარ მუშაობს და რაც მთავარია, აღარ მუშაობს ახალგაზრდებში!

ისე, ამხანაგო პუტინისტებო, ომი კი არა, კარგი ცხოვრება გვინდა. ეს კარგი ცხოვრება კი, თქვენი გულის გასახეთქად, დასავლეთშია!

ჰოდა, სანამ წინ (შინ), ევროპისკენ წავალთ, იქნებ, იმაზე დავფიქრდეთ, რომ იგივე აჭარაში, ტურისტებად ჩასულ რუსებს ფიანდაზად კი არ გავეგოთ, არამედ, ისე ღირსეულად მოვიქცეთ, რომ ჩვენი და ჩვენი ქვეყნის პატივისცემა ვაიძულოთ! ისე, სხვისი არ ვიცი და, პირადად ჩემთვის ისიც დამამცირებელია, პლაჟზე ქართველები მთელი ძალით რომ გაჰყვირიან – „გარიაჩი კუკურუზ!“ შე მამაცხონებულო, ადექი და მშობლიურ ენაზე თქვი – „ცხელი სიმინდი“ და ის რუსი თუ ვერ გაიგებს, რას ამბობ, თვალები ხომ აქვს და დაინახავს, სიმინდს რომ ჰყიდი და თუ მოეგუნებება, ადგება და იყიდის!

მოკლედ, საკუთარ თავს პატივს ჩვენ თვითონ თუ არ ვცემთ, არც სხვა დაგვაფასებს, მით უმეტეს, თუ ეს სხვა ოკუპანტი ქვეყნის წარმომადგენელია!

შეასრულებს თუ არა სალომე ზურაბიშვილი ქართულ პოლიტიკაში დეტონატორის ფუნქციას

„ეს დემოკრატიის ძალიან მარტივი და გულუბრყვილო გააზრებაა“ – ვახტანგ ძაბირაძის პოლიტანალიზი

თათია გოჩაძე
598-43-50-34

საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მოსაპოვებლად წამზომი ჩართულია. ხელისუფლება და საპარლამენტო ოპოზიცია კი პოლარიზების შემცირებას ისევ ვერ ახერხებს და 12– პუნქტიანი გეგმის შესასრულებლად, ცალკ-ცალკე, სამუშაო ჯგუფებს ქმნის. პოლიტიკური დაპირისპირების შესასუსტებლად, პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა გამოთქვა მზადყოფნა, რომ გახდეს მედიატორი მხარეებს შორის. რამდენად გამოუვა მეხუთე პრეზიდენტს ქართული პოლიტიკური ველის გამთლიანება და იმის გაკეთება, რაც ევროპარლამენტის თავმჯდომარე შარლ მიშელმაც კი ვერ შეძლო, ამას დრო გვიჩვენებს... ერთი რამ ფაქტია: ზურაბიშვილი ქვეყნის შიდა და გარე პოლიტიკურ სივრცეში მკვეთრ პოზიციონირებას ცდილობს და ზეპარტიული, ნეიტრალური ინსტიტუციის იმიჯის მოსაპოვებლად იღწვის, თუმცა საქართველოს პირველ ქალ პრეზიდენტს კრიტიკოსები დიპლომატიას უწუნებენ, რადგან ბევრის მოსაზრებით, ზურაბიშვილს მიხეილ სააკაშვილის შეწყალებაზე უარი არ უნდა ეთქვა, ყოველ შემთხვევაში, ფრაზა – „არა და არასოდეს“, არ უნდა გამოეყენებინა, რადგან მსგავსი ხისტი პოზიცია დიპლომატიური ენისგან შორსაა... „ვერსიამ“ არსებულ პოლიტიკურ ვითარებაში სალომე ზურაბიშვილის ფაქტორი ანალიტიკოს ვახტანგ ძაბირაძეს შეაფასებინა:

– პრეზიდენტის სურვილი, გახდეს მედიატორი, სრულიად გასაგები და მისაღებია, მაგრამ სხვა საკითხია, როგორ შეხვდებიან პოლიტიკური მხარეები ამ განცხადებას და რამდენად აქვს ზურაბიშვილს იმის ავტორიტეტი, რომ ეს ფუნქცია შეასრულოს. ამ ფუნქციის შესრულებას თვით შარლ მიშელიც კი ცდილობდა და არ გამოუვიდა. გასაგებია, მთლად ის არ გამოუვიდათ, რომ დოკუმენტის ხელმოწერაზე უარი ეთქვათ, თუმცა ნაციონალურმა მოძრაობამ მხოლოდ მას შემდეგ მოაწერა ხელი, რაც „ქართულმა ოცნებამ“ დატოვა ეს ფორმატი ანუ ერთდროულად მაინც ვერ მოხერხდა, რომ ორივე მხარეს მოეწერა ხელი შეთანხმების დოკუმენტზე. აქედან გამომდინარე, ზურაბიშვილის ეს სურვილი მხოლოდ სურვილად რჩება და არ მგონია, მას რამე გაგრძელება მოჰყვეს. ამ ეტაპზე, ისეთ პიროვნებას ან უწყებას ვერ ვხედავ, რომელიც იკისრებს ამ ფუნქციას და წარმატებულად განახორციელებს იქიდან გამომდინარე, რომ არც ერთი მხარის ინტერესში არ შედის დეპოლარიზაცია. ორივე მხარეს ხელს აძლევს არსებული ვითარება – „ქართული ოცნება“ ფიქრობს, რომ მხოლოდ პოლარიზაციის შემთხვევაში შეინარჩუნებს უმრავლესობას და ნაციონალური მოძრაობა ფიქრობს, რომ მხოლოდ პოლარიზაციის შემთხვევაში მოიპოვებს უმრავლესობას.

– ზურაბიშვილმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ მიხეილ სააკაშვილის შეწყალებას არ აპირებს. მეხუთე პრეზიდენტის მიერ, მესამე პრეზიდენტის შეწყალება პოლარიზაციის ყინულს გაალღობდა?

– გავაანალიზოთ, როგორ იქნება აღქმული ეს ნაბიჯი ორივე მხარის მიერ – თუ ზურაბიშვილი ამ ნაბიჯს გადადგამს, „ქართული ოცნება“ იტყვის, რომ საბოლოოდ ჩამოყალიბდა ნაციონალური მოძრაობის პრეზიდენტად და იმ არეალს, რასაც ჰქვია პოლარიზაციის ერთი მხარე, ზურაბიშვილსაც მიამატებს. ნაციონალური მოძრაობა კი ამ გადაწყვეტილებას მიათვლის იმას, რომ პრეზიდენტი წავიდა ოპოზიციაში ანუ ერთი მხარე თავს ჩათვლის გამარჯვებულად, მეორე კი – დამარცხებულად და უფრო გაღრმავდება პოლარიზაცია. ამას ისიც დაუმატეთ, რომ შეწყალებული ეს ორი პიროვნება (მიხეილ სააკაშვილი და ნიკა გვარამია, – რედ.) დუმილით არ იქნებიან გამორჩეულნი. განთავისუფლების შემდეგ, ძალიან აქტიურად ჩაერთვებიან პოლიტიკურ პროცესში...

– და ეს ცუდი იქნება, ბატონო ვახტანგ?

– ჩვენ ხომ იმაზე არ ვსაუბრობთ, ცუდი იქნება თუ კარგი. ვსაუბრობთ იმაზე, წაადგება თუ არა პოლარიზების დასრულებას მათი პოლიტიკაში ჩართვა... ჩემი აზრით, ეს პოლარიზაციას კი არ შეამსუბუქებს, არამედ, დაპირისპირებულ მხარეებს უფრო დააშორებს ერთმანეთისგან. პრეზიდენტი როცა ამბობს, არ შევიწყალებო, ცდილობს, დარჩეს ნეიტრალურ ფიგურად. თუ ამ ნაბიჯს გადადგამს, ხელისუფლება ჩათვლის, რომ ის „ნაციონალების პრეზიდენტია“ და ის იმიჯი, რის ჩამოყალიბებასაც ცდილობს, როგორც პრეზიდენტის ინსტიტუტი, რომელიც ზეპარტიულია, ხელის ერთი მოსმით განადგურდება. რაც შეეხება იმას, ცუდი იქნება თუ კარგი, მგონია, რომ თუ პროცესის რადიკალიზაცია მოხდება, ეს ქვეყნისთვის ცუდი იქნება.

დღეს, ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა ტაქტიკითა და მოქმედებებით უფრო რუსულ საქმეს აკეთებენ, ვიდრე ქართულსა და პროდასავლურს. ხელისუფლება პირდაპირ მუსირებას ახდენს დასავლელი პოლიტიკოსების წინააღმდეგ და ეს „სამეული“ (მიხეილ ყველაშვილი, დიმიტრი ხუნდაძე, სოზარ სუბარი, – რედ.) რასაც ლაპარაკობს, ბუნებრივია, „ქართულმა ოცნებამ“ ტაქტიკურად შეიმუშავა – რაზეც თავად ვერ საუბრობს, იმაზე ალაპარაკოს, თუმცა არც თვითონ ერიდება... მუდმივად იმაზე საუბრობენ, რომ ვიღაცას უნდა საქართველო ომში ჩაერთოს. მეორე მხარე კი ამბობს, ჩვენ არ ჩავერთვებით ამ პროცესში, რადგან „ოცნება“ გადაგვაგდებსო და ცდილობს, ქუჩის აქციებით დაიწყოს ხელისუფლების „დემონტაჟი“. შესაბამისად, დღევანდელი ვითარების გათვალისწინებით, საქართველოში არასატაბილური სიტუაციის შექმნა, პირდაპირ რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს. მას შემდეგ, რაც ევროპაში გაჩნდა კრიზისი და ამოქმედება დაიწყო სამხრეთის დერეფანმა, ბაქოდან ბუნებრივი აირისა და ენერგომატარებლების მიწოდება უკვე საქართველოს გავლით ხდება, დასავლეთს რატომ უნდა აწყობდეს არასტაბილურობა ჩვენს ქვეყანაში? – ეს აწყობს რუსეთს, რადგან ეს დერეფანიც ჩაიკეტოს და ეს იქნება რუსეთისთვის მომგებიანი. თავადაც გადაუკეტავს ბუნებრივ აირს ევროპას, რათა ჩვენს პარტნიორ ქვეყნებში კრიზისი გამოიწვიოს.

– დიახ, შესაძლოა, პრეზიდენტი იაზრებს ყველა ამ ფაქტორს და ამიტომაც ალაპარაკდა მედიატორის როლის შესრულებაზე... ისე, რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ, სალომე ზურაბიშვილის პოლიტიკური პოზიციონირება გამოიკვეთა – მმართველ ძალას გაემიჯნა და მისი კრიტიკა დაიწყო. თქვენი ხედვით, რამდენად სწორად მოქმედებს სალომე ზურაბიშვილი და გაამართლა თუ არა მის მიმართ არსებული მოლოდინი?

– ვფიქრობ, პრეზიდენტი სწორად იქცევა, რადგან ეს უნდა იყოს ზეპარტიული ინსტიტუტი საპარლამენტო მმართველობაში. მას უნდა ჰქონდეს გამოკვეთილად ნეიტრალური პოზიაცია პოლიტიკური სპექტრის მიმართ. გეთანხმებით, რომ ომის დაწყების შემდეგ, როცა „ქართულმა ოცნებამ“ უარი განაცხადა სანქციებს შეერთებოდა და დაიწყო იმ აზრის მუსირება, რომ დასავლეთი ცდილობს, საქართველოში ომი დაიწყოს, პრეზიდენტის პოზიცია ნელ-ნელა გამოიკვეთა. ახალი არაა ის ფაქტი, რომ „ქართული ოცნების“ დამოკიდებულება პრეზიდენტისადმი შეიცვალა, მარგველაშვილის შემთხვევაშიც იგივე მოხდა. „ქართულ ოცნებას“ კი ასეთი მიდგომა აქვს – ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია. ამიტომ დაპირისპირება პრეზიდენტთანაც დაიწყო, რადგან აღმოჩნდა, რომ მას სურს, დამოუკიდებელი პოლიტიკური ფიგურა გახდეს, რაც მმართველი პარტიისთვის მაინცდამაინც მისაღები არაა.

ვფიქრობ ზურაბიშვილის ასეთი პოზიცია წაადგება ქვეყანას, თუ შეძლებს, წნეხს გაუძლოს. მასზე ორმაგი წნეხი მიმდინარეობს – „ოცნებაც“ აკრიტიკებს და ნაციონალური მოძრაობაც. ორივე ძალა ცდილობს, თავისკენ გადაქაჩოს პრეზიდენტი და თუ გაუძლებს ამ ზეწოლას, შეინარჩუნებს ნეიტრალურ პოზიციას, ქვეყნისთვის კარგი იქნება. ვინც პოლიტიკურად მიუკერძოებელია, მათთვის პრეზიდენტის ასეთი ქმედებები მოწონებას დაიმსახურებს, ხოლო ვინც თვლის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ გახადა ის პრეზიდენტი და ამიტომ ყველაფერზე თავი უნდა დაუქნიოს, მათთვის ეს პოზიციონირება მიუღებელი იქნება, თუმცა აქვე ერთიც უნდა აღინიშნოს, „ოცნებას“ არჩევანი აღარ ჰქონდა, როცა დარჩა ორი კანდიდატი არჩევნებში – გრიგოლ ვაშაძე და სალომე ზურაბიშვილი. რომც არ სდომოდა, არჩევდა ზურაბიშვილს, ვიდრე ვაშაძეს და, ამ შემთხვევაში, მმართველი ძალა სწორად მოიქცა.

– ზოგი იმასაც ფიქრობს, რომ ახლა ზურაბიშვილი ხელისუფლებას აკრიტიკებს, მაგრამ სინამდვილეში, მმართველი ძალის საქმეს აკეთებს – ფასადურ განწყობას ქმნის, რომ თითქოს ქვეყანაში დემოკრატიული პროცესი მიდის და ინსტიტუციები შეთანხმებულად არ მოქმედებენ...

– ძალიან მარტივი და გულუბრყვილო გააზრებაა დემოკრატიისა, ვინც ამას ასე ფიქრობს. დემოკრატია პერსონებზე კი არაა დამოკიდებული, არამედ, ინსტიტუტებზე, რომელიც ჩვენს ქვეყანაში არასდროს მუშაობდა და არც დღეს მუშაობს. დემოკრატია საქართველოში არ არის და არც ყოფილა. სისტემური რეფორმებია საჭირო, რომ დემოკრატიული ინსტიტუტები ჩამოყალიბდეს და არა – პერსონები. ამ 30 წლის განმავლობაში, ერთი საათიც კი არ გვიცხოვრია ჭეშმარიტი დემოკრატიის პირობებში. ამიტომ შეფასება პრეზიდენტისადმი, რომ ფასადურ განწყობას ქმნის, კიდევ ერთი ზეწოლაა და ალბათ, უარესი შეფასებებიც იქნება... არც პრეზიდენტი უნდა ელოდოს, რომ ტაშის კვრით დახვდებიან, რადგან რეალობაა ასეთი. ქვეყნის გარეთ კი ბევრი ფაქტორია, კომპლექსური მიდგომებია საჭირო და ამას უნდა გაუწოს ანგარიში ოპოზიციამ. ოპოზიცია ხშირად აკრიტიკებს ხელისუფლებას, რომ დასავლეთის მოსაზრებებს არ ითვალისწინებს, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგება, არც თავად ითვალისწინებს. ძალიან არ მინდა ამის თქმა, მაგრამ ეს ორი პოლიტიკური ძალა ჩამოყალიბდა ანტისახელმწიფოებრივ ძალებად.

– პერსონებზე საუბრობდით და მარგველაშვილიც ახსენეთ... იმის მიუხედავად, რომ მეოთხე პრეზიდენტი „ქართული ოცნების“ მაკრიტიკებელია, რეალურად, არც ერთ გადამწვეტ მომენტში რადიკალური ნაბიჯი არ გადაუდგამს, გვახსოვს ვეტოს არგამოყენების საკითხი და ა.შ. როგორ აფასებთ ზურაბიშვილის პერსონას? შესაძლოა, ის უწყობდეს დიდ სიურპრიზს მმართველ პარტიას, რომ გადადგას უფრო მკვეთრი ნაბიჯები ხელისუფლების წინააღმდეგ ანუ რამდენადაა სალომე ზურაბიშვილის პოლიტიკური ნაბიჯები პროგნოზირებადი?

– ზურაბიშვილის პოზიცია დღეს თითქმის სრულად ემთხვევა დასავლელი პარტნიორების პოზიციას. შეიძლება, უფრო მკვეთრი განცხადებები გააკეთოს, მაგრამ განცხადებების გარდა, სხვა სახელისუფლებო მექანიზმები არ გააჩნია. შეიძლება, ვეტო დაადოს კანონპროექტებს, მაგრამ ვეტოს დაძლევაც არ გაუჭირდება ხელისუფლებას. მართალია, ეს პოლიტიკური განაცხადი იქნება და უნდა გამოიყენოს პრეზიდენტმა, როცა საჭიროდ ჩათვლის, მაგრამ მისი ფიგურა დღეს ისეთი არაა, რომ მის გადაწყვეტილებას საზოგადოებაში ვნებათაღელვა მოჰყვეს. გახსოვთ, როცა ზურაბიშვილი გადააყენეს საგარეო საქმეთა მინისტრობიდან, განცხადება გააკეთა, ვიკრიბებით იპოდრომზეო და ზღვა ხალხი მივიდა. ამით იმის თქმა მინდა, რომ ზურაბიშვილის მაშინდელი პოლიტიკური წონა შეუდარებლად დიდი იყო, ვიდრე დღევანდელი პრეზიდენტ ზურაბიშვილის პოლიტიკური წონაა. მას რომ დღეს ისეთივე პოლიტიკური გავლენა ჰქონდეს, როგორიც მაშინ ჰქონდა, შესაძლოა, გვეფიქრა, რომ პროცესში ჩართულობა „დეტონატორის“ ფუნქციას მაინც შეასრულებდა, მაგრამ ეს წონა მას საზოგადოებაში არ აქვს და შესაბამისად, განცხადებებს გააკეთებს თუ პოზიციას დააფიქსირებს, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი შედეგი არ ექნება.

ბიჭვინთის კრიზისი – „აფხაზებს რუსეთისთვის ვალის გადახდის დღე დაუდგათ!“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

პაატა დავითაია: „აფხაზების იდენტობის გადარჩენის ერთადერთი შანსი ქართველებთან ურთიერთობის შენარჩუნებაა“

ოკუპირებულ აფხაზეთში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია ბიჭვინთის სახელმწიფო აგარაკის რუსეთისთვის გადაცემამ. პროტესტის ტალღა ისეთი მასშტაბური აღმოჩნდა, რომ დე ფაქტო პრეზიდენტს, ასლან ბჟანიას მოუწია მოსახლეობასთან შესახვედრად კარდაკარ სიარული, რადგან აფხაზეთში მიმდინარე პოლიტიკური კრიზისის ფონზე, ე.წ. მთავრობის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, ცნობილ ზღვისპირა კურორტ ბიჭვინთასთან მდებარე სახელმწიფო აგარაკის რუსეთისთვის გადაცემის შესახებ მოსახლეობა საკუთარი არგუმენტებით დაარწმუნოს, თუმცა ეს ჯერჯერობით არ გამოსდის.

საუბარია საბჭოთა ლიდერის, ნიკიტა ხრუშჩოვის ყოფილ საზაფხულო რეზიდენციაზე, რომელიც 184 ჰექტარი ფართობია და მოიცავს ნაკრძალის ნაწილს ბიჭვინთის ფიჭვის რელიქტური პარკით.

საკითხი აფხაზეთის პარლამენტმა უახლოეს მომავალში უნდა განიხილოს.

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთში რუსეთი მთავარ მოკავშირედ და პარტნიორად ითვლება, ცნობილია, რომ აფხაზები მტკივნეულად აღიქვამენ ყველაფერს, რაც მათ „სუვერენიტეტს“ ეხება, ამიტომ საინტერესოა, რა პოლიტიკური პროცესების გამოწვევა შეუძლია აფხაზური მიწის რუსეთისთვის გადაცემის ფაქტს. აღნიშნულ საკითხზე „ვერსია“ „ევროპელი დემოკრატების“ ლიდერს, პაატა დავითაიას ესაუბრა:

– რეალურად, აფხაზებს ვალის გადახდის დღე დაუდგათ! ბიჭვინთის ეს კომპლექსი აშენებულია საბჭოთა კავშირის დროს და მას რუსები „ინახავდნენ“, ამიტომ ყველა დე ფაქტო პრეზიდენტს სთხოვდნენ გადაცემას, მაგრამ არც ერთმა ეს არ გააკეთა.

1995 წელს, გაფორმდა ხელშეკრულება, რომ გადასცემოდა რუსეთს უვადო მმართველობაში, მაგრამ მათ ეს არ სჭირდებოდათ, რადგან მთელ მსოფლიოში ჰქონდათ ყველაფერი. ახლა კი, როცა სანქციები ამუშავდა, მოსთხოვეს აფხაზეთს ეს ადგილი. დაიდო ხელშეკრულება ე.წ. მთავრობის დადგენილებით, რომ 49 წლით გადაეცეს რუსეთს თავის მიწიანად ეს კომპლექსი.

მმართველობაში მიწის გადაცემა კი არ შეიძლება, მაგრამ რუსებს უნდათ ამ ადგილის რეაბილიტაცია, რუსეთის ბიუჯეტიდან თანხა უნდა გამოიყოს და ყველაზე საუკეთესო ზღვის ზოლს რუსული ჯარი ჩაკეტავს და რითაც აფხაზები „ბლატაობდნენ“, ზღვის იმ ზოლზე ვეღარ გავლენ. რუსეთის თავდაცვის ჯარისკაცების ოჯახები ჩავლენ იმიტომ, რომ სანქციების გამო, ვეღარსად გადიან. აფხაზებს ისე გამოუვიდათ, რომ იურიდიულად მმართველობაში გადასცეს რუსეთს და საკუთარი საუკეთესო მიწით ვეღარ ისარგებლებენ. ამას მოჰყვა მოსახლეობაში ვნებათაღელვა, მთელი აფხაზეთი ფეხზე დგას. პროტესტი დაიწყო გულრიფშში, გუდაუთაში, სოხუმში, ოჩამჩირეში...

ასლან ბჟანიამ შემოიტანა ასეთი სიტყვათა წყობა: „გადავცეთ ეს ადგილი, თუ დავკარგოთ რუსეთი, როგორც მეგობარი და დავრჩეთ ქართველებთან?“

იურიდიულად ყველაფერი გადაწყვეტილია, მაგრამ ანქვაბი და ბჟანია ქუჩა-ქუჩა დადიან და ხალხს ელაპარაკებიან, თუმცა ამას შედეგი აღარ მოაქვს, რადგან აფხაზები ამბობენ, კი, დაგვეხმარა რუსეთი, მაგრამ ამის ფასად თუ მიწა დავკარგეთ, რად გვინდაო... ამ საკითხს მოჰყვა დიდი საპროტესტო გამოსვლა და ვფიქრობ, ეს პროცესი არ გაჩერდება, მაგრამ საბოლოო ჯამში, აფხაზები წააგებენ. ანქვაბი მიმართავს მოსახლეობას, პრეტენზია არ გქონდათ, როცა ამაზე მეტი მიწა გადავეცით რუსულ სამხედრო ბაზებსო, მაგრამ აფხაზებს ეს არ აინტერესებთ, რადგან ზღვაზე ვერ გადიან. ე.წ. სავიზიტო ბარათი რაც ჰქონდათ, ის გამოეცალათ ხელიდან, მაგრამ ამ შეტაკებას მაინც წააგებენ რუსეთთან, რადგან რუსული ჯარი დგას იქ.

– გამოდის, რომ რადგანაც სანქციების გამო, რუსეთს მთელ მსოფლიოში გასასვლელი ჩაეკეტა, ახლა უნდა ამ მართლაც ულამაზესი და უნიკალური მხარის – აფხაზეთის სანაპიროს ათვისება, ოღონდ უკვე დაკანონებულად?

– დიახ, რადგან რუსეთის კანონმდებლობით, რეაბილიტაციისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხის დახარჯვა შეიძლება მხოლოდ რუსეთის საკუთრებაზე.

– თანხა ხომ მოდიოდა რუსეთიდან აფხაზეთში, წლების განმავლობაში?

– ეს თანხა მოდიოდა მარიონეტული რეჟიმის შესანახად და არა რეაბილიტაციისთვის. ახლა კი რეაბილიტაციას რატომ ჩაუტარებენ აფხაზების კუთვნილ ქონებას? – გაიკეთებენ თავისთვის.

– მოსახლეობასთან ასლან ბჟანიას ისიც უთქვამს, პირადად პუტინმა მთხოვა ამ ადგილის გადაცემაო...

– იმიტომ, რომ ჯარისკაცებს დასვენება, რეაბილიტაცია ხომ უნდათ?..

– კი, მაგრამ ცნობილი ამბავია, რომ ოსებისგან განსხვავებით, აფხაზები მტკივნეულად განიცდიან საკუთარი იდენტობის ხელყოფას...

– დიახ, ასეთები არიან და არაერთხელ გვისაუბრია იმაზე, რომ მათ მართლა სურთ დამოუკიდებლობა და მათ მართლა ჰგონიათ, რომ „დამოუკიდებლები“ არიან – ეს არის სასაცილო. აფხაზებს მოვუწოდებ, თქვენი გაზეთით, მათი იდენტობის გადარჩენის ერთადერთი შანსი არის ქართველებთან ურთიერთობის შენარჩუნება. აფხაზები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეინარჩუნებენ ბიჭვინთას, თუ მოსახლეობა გამოვა ქუჩაში და იტყვის, რუსები აღარ გვინდაო, სხვაგვარად, რუსული ექსპანსია მათ გაანადგურებს. შეიძლება, ქუჩაში გამოვიდეს 5000 კაცი, მაგრამ მათ ისე „ჩაჩექმავენ“, როგორც უნდათ.

– თუმცა, ახლა პროტესტის ტალღა მთელ აფხაზეთში აგორდა, სადაც მიდის დე ფაქტო მმართველობა, ყველგან პროტესტი ხვდება.

– პუტინის თვალით შევხედოთ – საუბარია იმაზე, რომ 10 ათასი კაცი გამოვა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ, რომლის 28 სამხედრო ბაზაა აფხაზეთში.

– ანუ ამ ხალხს რამე გზით გააჩუმებენ, არა?

– ხელშეკრულებაში უწერიათ, რომ რუსეთის ქონების ხელყოფა არის სერიოზული საკითხი, ამიტომ ძალიან გაუჭირდებათ აფხაზებს. რუსეთის ელჩმა აფხაზეთში განაცხადა, ჩვენთვის ბიჭვინთის თემა პრინციპული პრიორიტეტიაო – ამით ყველაფერი ნათელია.

– ბატონო პაატა, როგორ ფიქრობთ, ეს საკითხი ხომ არ გახდება მიზეზი, რომ აფხაზები დააფიქროს საქართველოსთან ურთიერთობის დალაგებაზე?

– ეს საკითხი გახდება აფხაზებისთვის დამაფიქრებელი, თუ საქართველოს ხელისუფლებაში იფიქრებენ ისე, როგორც, მაგალითად, თქვენ ფიქრობთ. თქვენ, როგორც პატრიოტი.

– გმადლობთ, ბატონო პაატა. ესე იგი, მიიჩნევთ, რომ თუ საქართველოს ხელისუფლება აფხაზებს განწყობას აგრძნობინებს, ისინი ჩვენთან ურთიერთობის დალაგებაზე იფიქრებენ?

– ამას სჭირდება ყოველმხრივი მუშაობა – სპეცსამსახურებიდან დაწყებული, პოლიტიკოსების, არასამთავრობო სექტორისა და უცხოელების ჩართულობა. მე რომ ვიყო ხელისუფალი, ახლა გავაკეთებდი განცხადებას აფხაზებისთვის – საქართველო მზად არის, ჩაუტაროს რეაბილიტაცია აფხაზეთთან ერთად ამ ტურისტულ კომპლექსს-მეთქი და სამაგიეროდ არაფერს მოვითხოვდი. ამით გავუგზავნიდი სერიოზულ მესიჯს, რომ მათ შვილებზე ვფიქრობთ. შეიძლება, უარი გვითხრან, მაგრამ ეს სერიოზული მესიჯი იქნებოდა...

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 100 ათასზე მეტ ფერმერს აგროქულები დაერიცხა

მაკა რუხაძე

ფერმერების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამები სოფლის მეურნეობის მხარდასაჭერად

უკვე ხუთ თვეზე მეტია, რაც რუსეთ-უკრაინის ომი მიმდინარეობს. ოკუპანტი რუსეთიცა და უკრაინაც საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორები არიან და რეგიონში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა ჩვენს ქვეყანაზეც დომინოს პრინციპით მოქმედებს. იმ ფონზე, როდესაც სხვადასხვა სახის პროდუქტები ძვირდება, ბუნებრივია, აქცენტი ისეთ პროგრამებზე კეთდება, რომელთა საშუალებითაც, მსხვილ ბიზნესთან ერთად, სახელმწიფო საშუალო და მცირე ბიზნესს ეხმარება. ბოლო დროს, რამდენიმე ასეთი პროგრამა ხორციელდება კიდეც, მაგრამ ვინაიდან სოფლის მეურნეობის აღორძინება ქართული ოცნების პრიორიტეტია, ამჯერად ამ დარგში განხორციელებული ორი, ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამა განვიხილოთ. სხვათა შორის, მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის ნაწილში, სწორედ სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის მიზნით, სახელმწიფო რამდენიმე, ძალიან სერიოზულ პროგრამას ახორციელებს. ეტაპობრივად, თითოეულ მათგანს გაგაცნობთ, დღეს კი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობისა და აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამებს გავეცნოთ.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები

დავიწყოთ იმით, რომ ეს პროგრამა საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, 2022 წლის 10 მაისიდან დაიწყო და მისი ბიუჯეტი 35 000 000 ლარით განისაზღვრა. პროგრამის მიზანია, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველადი წარმოების ხელშეწყობა, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეების სტიმულირების გზით.

პროგრამის დანიშნულებაა, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო საქონლის ღირებულების სუბსიდირების გზით, აგროპროდუქციის პირველადი წარმოების ხელშეწყობა. რაც მთავარია, პროგრამაში მონაწილეობას არ მიიღებს მიწის ნაკვეთი, თუ საჯარო რეესტრის ამონაწერში უძრავ ქონებას მინიჭებული აქვს სათიბი ან/და საძოვრის კატეგორია.

პროგრამას ახორციელებელია სოფლის განვითარების სააგენტო, ხოლო კოორდინაციას უწევს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

სუბსიდიის მოცულობა

თუ ბენეფიციარს საკუთრებაში ჯამურად გააჩნია 0.25 ჰა-დან 1.25 ჰა-ს ჩათვლით მიწის ნაკვეთ(ებ)ი, სუბსიდიის მოცულობა, ყოველ 1 ჰა მიწის ნაკვეთზე გადაანგარიშებით, განისაზღვრება 300 ლარით (ქულით).

თუ მიწის ნაკვეთები ბენეფიციარების თანასაკუთრებაშია 0.25 ჰა-დან 1.25 ჰა-ს ჩათვლით, თითეულ ასეთ მიწის ნაკვეთზე სუბსიდიის მოცულობა განისაზღვრება 300 ლარით (ქულით) ყოველ 1 ჰა გადაანგარიშებით.

იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარ(ებ)ს მიწის ნაკვეთები გააჩნია, როგორც საკუთრებაში, ასევე თანასაკუთრებაში, სუბსიდიის თანხის დაანგარიშებისას არ იქნება გათვალისწინებული საკუთრებაში და თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ფართობების ჯამი და ასეთი ბენეფიციარები სუბსიდიის თანხას მიიღებენ ცალკ-ცალკე.

თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთ(ებ)ის შემთხვევაში, სუბსიდია გაიცემა ერთ-ერთ თანამესაკუთრეზე, რომელიც ბანკში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ნოტარიულად დამოწმებულ თანხმობის დოკუმენტს წარადგენს, რითაც დასტურდება მისი უფლებამოსილება, თანამესაკუთრეების სახელით მიიღოს და განკარგოს პროგრამით გათვალისწინებული სუბსიდია ან ყველა თანამესაკუთრის მიერ ხელმოწერილი თანხმობის დოკუმენტი, რომლის შინაარსისა და ხელმოწერების ნამდვილობაზეც პასუხისმგებელი იქნება დოკუმენტის წარმდგენი თანამესაკუთრე და რითაც დასტურდება მისი უფლებამოსილება, თანამესაკუთრეების სახელით მიიღოს და განკარგოს პროგრამით გათვალისწინებული სუბსიდია.

ბენეფიციარის შერჩევის კრიტერიუმები

სახელმწიფო სუბსიდიის მისაღებად, პოტენციურ ბენეფიციარს, 2022 წლის 20 აპრილისთვის, საკუთრებაში ან/და თანასაკუთრებაში უნდა გააჩნდეს მიწის ნაკვეთ(ებ)ი, ჯამური ფართით არანაკლებ 0.25 ჰა, არაუმეტეს 1.25 ჰა ან/და არაუგვიანეს 2022 წლის 30 ივნისის ჩათვლით, განახორციელოს მიწის ნაკვეთ(ებ)ის პირველადი რეგისტრაცია ან ინფორმაციის იმ სახით დაზუსტება, რომლითაც იდენტიფიცირებადი გახდება, აკმაყოფილებს თუ არა პირი პროგრამის პოტენციური ბენეფიციარის შერჩევის კრიტერიუმებს.

ბენეფიციარებზე წინა წელს გაცემული აგრობარათები კვლავაც აქტიურია, თუმცა ქულების დასარიცხად და ახალი ბარათების ასაღებად, უნდა მიმართონ სს ლიბერთი ბანკს. რაც მთავარია, ახალ ბარათებს ბანკი ფერმერს უსასყიდლოდ დაუმზადებს და გადასცემს.

სს ლიბერთი ბანკის მიერ ქულები დაირიცხება ეტაპობრივად. დარიცხული ქულების შესამოწმებლად, ფერმერი უნდა დაუკავშირდეს ბანკის ცხელ ხაზს ან გადაამოწმოს ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, პირადი საიდენტიფიკაციო მონაცემების შეყვანით.

ბარათზე დარიცხული ქულებით, 0.25 ჰა და 1.25 ჰა-მდე მიწის ფართობის მფლობელებს/თანამესაკუთრეებს, სპეციალიზებულ მაღაზიებში შეეძლებათ შეისყიდონ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო საქონელი. პროგრამის ბენეფიციარ ფერმერებს, ეტაპობრივად, 500-ზე მეტი სავაჭრო ობიექტი მოემსახურება.

ბარათზე დარიცხული ქულების (თანხის) გამოყენების ბოლო ვადაა 2022 წლის 30 ნოემბერი.

აგროქულები 100 ათასზე მეტ ფერმერს დაერიცხა

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, აგროქულები უკვე 100 ათასზე მეტ ფერმერს დაერიცხა. აქედან, 1 200-ზე მეტმა ფერმერმა აგრობარათი გააააქტიურა, ხოლო 340-მა – სახელმწიფო დახმარება გამოიყენა და სპეციალურ მაღაზიებში აგროქულები გაანაღდა. პროგრამის ბენეფიციარებს აგრობარათებზე თანხა ეტაპობრივად ერიცხება.

სოფლის განვითარების სააგენტო ფერმერებს აფრთხილებს, რომ აგრობარათის გასააქტიურებლად ან ახალი ბარათის ასაღებად, ბანკში ვიზიტამდე, ინფორმაცია ბარათზე ქულების დარიცხვის შესახებ, ლიბერთი ბანკის ვებ-გვერდზე გადაამოწმონ და მხოლოდ ამის შემდეგ მივიდნენ ლიბერთი ბანკის ნებისმიერ ფილიალში.

ამავე პროგრამის ფარგლებში, 1.25 ჰა-დან 10 ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებს ბარათზე დარიცხული ქულების გამოყენების შესაძლებლობა ექნებათ, როგორც სასოფლო-სამეურნეო საქონლის, ასევე, სასოფლო-სამეურნეო მიწის აგროტექნიკური (ხვნის) სამუშაოების მომსახურების შესაძენად.

ხვნის მომსახურების მიღება შესაძლებელია მხოლოდ შპს „სოფლის მეურნეობის ლოგისტიკისა და სერვისების“ კომპანიის” (ყოფილი შპს „მექანიზატორი“) სერვის-ცენტრებში, რომლებიც ფუნქციონირებენ საქართველოს ყველა რეგიონში (სულ 12 სერვის-ცენტრი). 1 ჰა-ზე ხვნის საფასურია 150 ლარი (150 ქულა).

აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამა

თუ უკვე ფლობთ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს, თამამად შეგიძლიათ, კიდევ ერთი, ძალიან მნიშვნელოვანი სახელმწიფო პროგრამით – აგროდაზღვევით ისარგებლოთ. ამისთვის საჭიროა, რომ თქვენს საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე გაშენებული გქონდეთ ერთწლოვანი ან მრავალწლოვანი კულტურები. ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფო გთავაზობთ აგროდაზღვევას სტიქიური მოვლენებისგან, რაც დაგეხმარებათ შეამციროთ სავარაუდო რისკები და შეინარჩუნოთ შემოსავალი.

დასასრული მე-7 გვერდზე

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 100 ათასზე მეტ ფერმერს აგროქულები დაერიცხა

მე-6 გვერდიდან

თქვენ შეგიძლიათ, დროულად დაიჭიროთ თადარიგი და დააზღვიოთ მოსავალი ისეთი სტიქიური მოვლენებისგან, როგორებიცაა: სეტყვა; წყალდიდობა; ქარიშხალი; საშემოდგომო ყინვები (მხოლოდ ციტრუსოვანი კულტურებისთვის) – 1 სექტემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში.

ფერმერი ან სოფლად მცხოვრები პირი სადაზღვევო პოლისს შეიძენენ საქართველოში მოქმედ რვა სადაზღვევო კომპანიაში: ალდაგში; სადაზღვევო კომპანია პრაიმში; არდიში; თიბისი დაზღვევაში; ნიუ ვიჟენ დაზღვევაში; საქართველოს სადაზღვევო ჯგუფში.

პროგრამის ფარგლებში, ბენეფიციარს შეუძლია დააზღვიოს 10 ჰა-მდე მიწის ნაკვეთი, ხოლო მარცვლეული კულტურის შემთხვევაში – 50 ჰა (აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის). თითოეული დამზღვევი 70%-იან თანადაფინანსებას მიიღებს პროგრამით გათვალისწინებულ ყველა კულტურაზე, ხოლო ვაზზე – 50%-ს (სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შემთხვევაში, სააგენტოს მიერ ერთ დამზღვევზე/მოსარგებლეზე გადასახდელი პრემიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 50 000 ლარს). ამასთან, დამზღვევს შესაძლებელია დაზღვეული ჰქონდეს, როგორც მარცვლეული კულტურა, ისე სხვა კულტურები ერთდროულად. პროგრამის მიხედვით, ფიქსირებული სადაზღვევო ტარიფი განისაზღვრება.

დასაზღვევად მიიღება რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები. დამზღვევი ან/და მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, რომელზეც განთავსებულია დაზღვევის ობიექტი, რეგისტრირებული უნდა იყოს სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ წარმოებულ „ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტის“ ფარგლებში წარმოებულ რეესტრში.

ერთწლიანი კულტურების დაზღვევისას, დაზღვევა დაფარავს მხოლოდ ერთ მოსავალს. თუ ფერმერს მოჰყავს მრავალწლიანი კულტურის ნერგები/ჯიშები, მაშინ ყველაზე გრძელვადიანი დაზღვევა იქნება არაუმეტეს სამი წელი. დაზღვევის მისაღებად ფერმერს მხოლოდ ოთხი დღით მოცდა მოუწევს.

პროგრამის ფარგლებში გაცემული სადაზღვევო პოლისის ვადა იქნება არანაკლებ ერთი თვე და არ გადაცდება მოსავლიანობის პერიოდს. დაზღვევა ამოქმედდება მომდევნო წლის მოსავლიანობისას, როგორც კი მიმდინარე წლის მოსავლის აღების დრო ამოიწურება.

მრავალწლიანი კულტურების დაზღვევა ძალაში შევა მაშინ, როდესაც ფერმერი საკუთარი სადაზღვევო თანხის პირველ შენატანს გადაიხდის. ამასთან, ფერმერმა მომავალი წლის მოსავლის სადაზღვევო თანხა უნდა გადაიხადოს იმ დროს, როდესაც მიმდინარე წლის (კონკრეტული კულტურის) მოსავლის აღება უკვე დასრულებულია, მაგრამ არაუგვიანეს 31 დეკემბრისა.

სადაზღვევო პოლისის პირობები

ერთწლიანი კულტურები – თუ სადაზღვევო რისკი მომხდარია მას შემდეგ, რაც ნაკვეთზე ჩატარებულია შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო კულტურის აგროწესებითა და აგროვადებით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, სასოფლო-სამეურნეო კულტურის 90% თანაბრად აღმოცენებულია და სავეგეტაციო პერიოდშია. მიწისზედა ორგანოები (მინიმუმ 10 სმ) განვითარების ფაზაშია და მოქმედებს მოსავლის აღებამდე.

სანერგე მასალის (ჩითილი) დარგვა – სადაზღვევო პოლისი ამოქმედდება სანერგე მასალის (ჩითილის) ღია გრუნტში გადარგვიდან არაუადრეს 10 კალენდარული დღისა. დაზღვევა ეხება მარცვლეულ კულტურებს; პარკოსან კულტურებს; ბოსტნეულ და ბაღჩეულ კულტურებს.

მრავალწლიანი კულტურები, ხილი – თუ დაზღვეულ ტერიტორიაზე, ხეებზე ნაყოფის 50% მიაღწევს 0.8 სმ-ის დიამეტრს, გარდა ბლისა, ალუბლისა და თხილისა, რომელთა შემთხვევაშიც დაზღვევა ძალაში შედის იმ მომენტიდან, როცა ნაყოფი მიაღწევს 0.4 სმ-ის დიამეტრს.

კენკროვანი კულტურები – თუ მცენარეს გავლილი აქვს ყვავილობის ფაზა, ნაყოფი ხდება მკვეთრად გარჩევადი და ფორმირებულია ბუჩქზე.

ვაზი – დაზღვევა ძალაში შედის, თუ გამოტანილია მტევანი (როდესაც მტევანი გაშლილი და ვიზუალურად გარჩევადია).

კაკლოვანი კულტურები – დაზღვევა ძალაში შედის იმ მომენტიდან, როცა ნაყოფი მიაღწევს 0.4 სმ-ის დიამეტრს.

სუბტროპიკული კულტურები – დაზღვევა ძალაში შედის იმ მომენტიდან, როცა დაზღვეულ ტერიტორიაზე ხეებზე ნაყოფის 50% მიაღწევს 0.8 სმ-ის დიამეტრს.

ციტრუსი – დაზღვევა ძალაში შედის იმ მომენტიდან, როცა დაზღვეულ ტერიტორიაზე ხეებზე ნაყოფის 50% მიაღწევს 0.8 სმ-ის დიამეტრს.

ეფექტიანია თუ არა ექსპორტის ხელშესაწყობი სახელმწიფო ღონისძიებები

მაკა რუხაძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა, რამდენად ქმედითია სსიპ „აწარმოე საქართველოში“ ღონისძიებები ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით. აუდიტის პერიოდი მოიცავს 2018-2021 წლებს. აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით, სააგენტოს ფუნქციებსა და ღონისძიებებს გაუმჯობესება სჭირდება. კერძოდ, სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ სააგენტოს სამიზნე, პრიორიტეტული სექტორებისა თუ პროდუქტების იდენტიფიცირების პროცესი არათანმიმდევრულია.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სკანდალური დასკვნა – უწყება სსიპ „აწარმოე საქართველოში“ პროგრამებით დაინტერესდა

ვიდრე სახელმწიფო აუდიტის შედეგად გამოვლენილ დარღვევებს განვიხილავთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ექსპორტის განვითარება ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი, ხოლო სახელმწიფოსთვის მისი ხელშეწყობა – ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია. ექსპორტის წახალისება შეიძლება მოიცავდეს იმპორტირებულ ნედლეულზე ტარიფების შემცირებას, თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმების შემოღებას, საბაჟო პროცედურების გამარტივებას და სხვა ღონისძიებებს.

ამასთან, ქვეყანაში არსებული საექსპორტო პოტენციალის ასათვისებლად, გავრცელებული ინსტრუმენტია ექსპორტის ხელშემწყობი ორგანიზაციების მიერ მხარდამჭერი ღონისძიებების შეთავაზება.

ექსპორტის წახალისების მიზნით, ბოლო ათწლეულში, საქართველოში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა – გამარტივდა საბაჟო პროცედურები და რაც მთავარია, გაფორმდა თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები, როგორც ევროკავშირთან, ასევე, ჩინეთთან. ქართული კომპანიების საექსპორტო პოტენციალის განვითარების მიზნით, მათ მხარდამჭერ ღონისძიებებს ახორციელებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სსიპ „აწარმოე საქართველოში“. სწორედ ეს იყო მიზეზი, რის გამოც სახელმწიფო აუდიტორები სააგენტოს საქმიანობით დაინტერესდნენ.

„აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ სსიპ „აწარმოე საქართველოში“, არ ფლობს ინფორმაციას ექსპორტიორი კომპანიების ნაწილზე, რის გამოც მას არ აქვს საშუალება, უცხო ქვეყნებიდან შემოსული კონკრეტული პროდუქციის შესყიდვის მოთხოვნები გააცნოს ამ სახის პროდუქციის ყველა მწარმოებელს. ამასთან, სააგენტოს საკუთარ ბაზებში აღრიცხული კომპანიების ნახევარზე არ გააჩნია ინფორმაცია ექსპორტის განხორციელების სტატუსისა და ხარისხის სერტიფიკატების შესახებ. სააგენტოს ახალი პლატფორმა – tradewithgeorgia.com კარგი საშუალებაა მეტი და უკეთესი ხარისხის ინფორმაციის მოსაგროვებლად, თუმცა მის პრაქტიკაში გამოსაყენებლად, საჭიროა კომპანიების სათანადო რაოდენობის დარეგისტრირება. სააგენტოს მიერ ექსპორტთან დაკავშირებული საჭიროებების კვლევის ჩასატარებლად არსებულ მექანიზმებში არსებობს გაუმჯობესების პოტენციალი. კერძოდ, სააგენტოს მიერ აუდიტის პერიოდში ჩატარებული კვლევა იყო ზოგადი ხასიათის, რის გამოც კონკრეტული საჭიროებები ვერ დადგინდა“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ სააგენტოს არ აქვს შეფასებული კომპანიებისთვის საჭირო სავაჭრო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა და სერვისების შესახებ ინფორმირებულობის დონე, რათა უზრუნველყოს საჭირო ინფორმაციის სისტემატურად მოპოვებისა და დროული გავრცელებისათვის სათანადო მექანიზმების შემუშავება. შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ აუდიტის პერიოდში, სააგენტოს ღონისძიებები პასუხობდა კომპანიების მიერ იდენტიფიცირებული საჭიროებების ნაწილს, თუმცა ვერ ფარავდა კომპანიების მხრიდან დასახელებულ იმ პრიორიტეტულ საჭიროებებს, როგორებიც იყო: კომპანიების მხარდაჭერა ექსპორტის სტრატეგიის შემუშავებისას, ბაზრების კვლევა, სერტიფიცირება და საკონსულტაციო მომსახურების მიწოდება-თანადაფინანსება.

„მიღწეული შედეგების შეფასების მიმართულებით, სააგენტოს გავლენის შეფასების სქემის შემუშავება წინ გადადგმული ნაბიჯია, თუმცა იმისთვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს უწყების საქმიანობა, მნიშვნელოვანია, დოკუმენტში განისაზღვროს რაოდენობრივი სამიზნე მაჩვენებლები და მისი პრაქტიკული გამოყენება. აღსანიშნავია, რომ კმაყოფილების კითხვარების შედეგების მიხედვით, რომელიც ეგზავნება სააგენტოს ორი ძირითადი სერვისით მოსარგებლე კომპანიებს, უწყების საქმიანობა გამოფენებისა და სასერტიფიკაციო კურსის ორგანიზების მიმართულებით დადებითად ფასდება“.

იმ ხარვეზების აღმოსაფხვრელად, რაც აუდიტის შედეგად გამოვლინდა, სახელმწიფო აუდიტორებმა სსიპ „აწარმოე საქართველოში“, გარკვეული რეკომენდაციები შეიმუშავეს. კერძოდ, პრიორიტეტული სექტორების ან პროდუქტების შერჩევის თანმიმდევრული და გამართული პროცესის უზრუნველსაყოფად, უნდა გაიწეროს პრიორიტეტული სექტორების გამოვლენის პროცედურა და განისაზღვროს პასუხისმგებელი პირების ან მხარეების როლები. სექტორის ან პროდუქტის პრიორიტეტულად აღიარებამდე, მნიშვნელოვანია მიწოდების ჯაჭვში არსებული დაბრკოლებების იდენტიფიცირება.

„გარდა ამისა, იმისთვის, რომ ქვეყანაში არსებობდეს კონსოლიდირებული ინფორმაცია ექსპორტიორი და ექსპორტის პოტენციალის მქონე კომპანიების შესახებ, საჭიროა, რომ სააგენტომ სხვა სახელმწიფო უწყებებთან, მაგალითად, შემოსავლების სამსახურთან და სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან კოორდინაციის შედეგად, ექსპორტიორი კომპანიების სია დააზუსტოს; სააგენტომ უნდა განსაზღვროს პლატფორმაზე დასარეგისტრირებელი კომპანიების მინიმალური რაოდენობა, მონიტორინგი გაუწიოს ახალი კომპანიების რეგისტრაციის პროცესს და სასურველი ნიშნულიდან ჩამორჩენის შემთხვევაში, დამატებითი ღონისძიებებიც განახორციელოს“.

საჭიროებებზე საპასუხო ღონისძიებების დასაგეგმად, მნიშვნელოვანია, რომ სააგენტომ შეიმუშაოს საჭიროებების შეფასების ქმედითი მექანიზმები, რომლებიც მოიცავს, როგორც სექტორულ დონეზე, წინასწარ შემუშავებული დეტალური კითხვარების საშუალებით და დადგენილი პერიოდულობით სიღრმისეულ კვლევებს, ასევე, კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული საჭიროებების პრიორიტეტულობის, საპასუხო ღონისძიებების განხორციელების თანმიმდევრობის, მასშტაბისა და ბიუჯეტის განსაზღვრას.

„ექსპორტის მიმართულებით სააგენტოს საქმიანობის შესაფასებლად და შედეგზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მისაღებად, რეკომენდებულია გავლენის შეფასების სქემაში განისაზღვროს რაოდენობრივი სამიზნე მაჩვენებლები, გაწერილი პერიოდულობით შეფასდეს მიღწეული შედეგები, გამოვლინდეს სამიზნესა და მიღწეულ შედეგებს შორის არსებული სხვაობების მიზეზები და ყველაფერი ეს, გათვალისწინებულ იქნეს მომდევნო წლის ღონისძიებების დაგეგმვისას“.

სამართალი

№29 27 ივლისი 2022 წ

ვინ და რატომ ჩაცხრილა მეორადი მანქანებით მოვაჭრე კომპანიის დაცვის წევრები

დირექტორის დისშვილის სკანდალური აღიარება

ბათო ჯაფარიძე

კრიმინალად ერთი ადამიანიც არ იბადება. ყველას გარემოება, ან კონკრეტული შემთხვევა და მომენტი უწყობს ხელს, კრიმინალად რომ ჩამოყალიბდეს. ამ კონკრეტული შემთხვევის დროს ადამიანი ფიქრობს, რომ ეს მისი შანსია და ამ შანსის გამოყენება ძალიან კარგი იქნება. მით უმეტეს, შინაგანად, ქვეცნობიერში, ყველა დამნაშავეს ჰგონია, რომ გამომძიებელზე ჭკვიანია და მის ეშმაკობას ვერავინ მიხვდება. იყო შემთხვევა, როცა მოქალაქე, რომელსაც მანამდე კანონთან პრობლემა არ ჰქონია, ავარიას შეესწრო და როცა გონდაკარგული მძღოლი მანქანიდან გადმოიყვანა და სასწრაფოში დარეკა, „გონება გაუნათდა“ – გონდაკარგულ ადამიანს ოქროს ყელსაბამი შეხსნა. ყველაფერი ეს კი ვიდეორეგისტრატორმა გადაიღო, შედეგად, მოქალაქე ძარცვის (და არა – ქურდობის) ბრალდებით გაასამართლეს და ციხეში 6 წლით გაუშვეს...

„კომპანიები, რომლებსაც კერძო დაცვა ჰყავდათ, ძალიან იშვიათი იყო. რეალურად, დაცვის სამსახური ანუ აწყობილი სტრუქტურა არ არსებობდა და კომპანიები ძირითადად კუნთმაგარ ტიპებს ქირაობდნენ, რომლებიც პირველივე შემთხვევისთანავე, სწორედ კუნთებზე იხედებოდნენ და მუშტებს იქნევდნენ. სწორედ ერთ-ერთი ასეთი კომპანია, რომელიც გერმანიიდან მეორადი მანქანების ჩამოყვანით იყო დაკავებული, გაქურდეს და ქურდობის დროს, დაცვის ორი თანამშრომელი მოკლეს, მენეჯერი კი დაჭრეს. შევარდნაძის ხელისუფლება უკანასკნელ თვეებს ითვლიდა, ამ საქმის გამოუძიებლობა კი ისედაც დამძიმებულ კრიმინოგენულ სიტუაციას უფრო ამძიმებდა და ოპოზიციას სალაპარაკოს აძლევდა. ამიტომ, საქმის სასწრაფო გამოძიება მოითხოვეს“, – გვიყვება პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

მოკლული ახალგაზრდები დაცვის წევრები იყვნენ, მენეჯერი კი – ავტოსალონის მფლობელის დისშვილი, რომელსაც ტყვია ღვიძლში ჰქონდა მოხვედრილი და ექიმები მისი სიცოცხლის გადარჩენისთვის იბრძოდნენ. თავად სალონის მეპატრონე ამბობდა, დაახლოებით, 50 ათასი დოლარია წაღებული, სეიფია ღია და ალბათ, დისშვილმა რომ გაუღო, სასიკვდილოდ მერე გაიმეტესო. ნერვიულობდა, ნეტავ, ბიჭი გადარჩეს, ჩემს დას თვალებში როგორ შევხედო, სოფლიდან წამოვიყვანე, ვიფიქრე, ცოტა ფულს იშოვის, ოჯახსაც დაეხმარება, კაცად ვაქცევო. გარდაცვლილები კი... სპორტსმენები, რომლებმაც კარიერა ვერ ააწყვეს და დაცვაში მუშაობდნენ. გულიანი ბიჭები ყველას უყვარდა, ყველა პატივს სცემდა. ჰო, საინტერესო ის იყო, რომ სამივეს ტყვია ერთი და იგივე იარაღიდან ჰქონდა მოხვედრილი და ის იარაღი სალონის დაცვის სამსახურზე ირიცხებოდა ანუ ვიღაცა მოვიდა, დაცვას იარაღი წაართვა, იმავე იარაღიდან სამივე სასიკვდილოდ გაიმეტა, მერე იქვე დააგდო, ფული წაიღო და წავიდა. სამივე იმიტომ, რომ თავდამსხმელი დარწმუნებული იქნებოდა მენეჯერის სიკვდილშიც, მას ხომ ტყვია ღვიძლში ჰქონდა მოხვედრილი, მაგრამ სასწაული მოხდა და ექიმებმა, პრაქტიკულად, უპრეცედენტო ოპერაცია გააკეთეს, დაგლეჯილი ღვიძლი ააწყვეს და ახლა ახალგაზრდა ორგანიზმის გამძლეობის იმედად იყვნენ.

დაიწყო იმ ადამიანების შესწავლა, რომლებმაც აღნიშნულ სალონს ავტომობილები დაუკვეთეს. ასეთები ბევრნი არ იყვნენ და თითებზე ჩამოსათვლელი ადამიანების დაკითხვა პრობლემა არ გახლდათ. ძალოვნებმა ყველა მარტივად იპოვეს, ერთის გარდა და ის ერთი, უბრალოდ, გაქრა, არავინ იცოდა, სად წავიდა და რატომ.

როცა „გამქრალი“ პირის შესწავლა დაიწყეს, გაირკვა, რომ ის აღმოსავლური ორთაბრძოლების მიმდევარი და რაც მთავარია, ამ სფეროში დაფასებული კაცი იყო. მისმა ნაცნობებმა თქვეს, ხელ-ფეხის ასე ოსტატურად ქნევა საქართველოში ცოტამ თუ იცისო. გამომძიებლებს მაშინვე ექსპერტიზის დასკვნა გაახსენდათ – გარდაცვლილებსაც და დაჭრილსაც სიკვდილამდე ფიზიკურად გაუსწორდნენ, უმოწყალოდ არიან ნაცემები და მხოლოდ ამის შემდეგ ესროლესო.

აღმოსავლური ორთაბრძოლების ოსტატზე, როგორც მთავარ ეჭვმიტანილზე, ძებნა გამოცხადდა, მაგრამ არსად იყო, უბრალოდ, გაქრა – არც მეგობრებთან, არც ნათესავებთან, არც სახლში. შეამოწმეს მისი მშობლების სახლი სოფელში, თუმცა ადგილობრივებმაც და მშობლებმაც თქვეს, რომ ბიჭი არ გამოჩენილა და... მამამ თქვა, მანქანის ყიდვას აპირებდა, ორი ძროხა და ღორები გავყიდე, ფული არ ჰყოფნიდა, „მერსედესი“ უნდოდაო.

სალონის მეპატრონემ ყველა დოკუმენტი გადმოიღო, მაგრამ ეჭვმიტანილის საბუთები ვერსად იპოვა, არადა, ჯიუტად იმეორებდა, ეგ ბიჭი ზუსტად მახსოვს, ფულიც მოიტანა, ხელშეკრულებასაც ხელი მოაწერა და დღე-დღეზე, მისი მანქანის შეკვეთას ვაპირებდითო ანუ ბიჭმა ფული სრულად გადაიხადა და მანქანას ელოდა, დათქმული ვადა ჯერ გასული არ იყო, რომ ეფიქრა, გადამაგდესო.

„მთავარი იმედი დაჭრილის გამოჯანმრთელება იყო, სწორედ მას უნდა მოეყოლა, რა მოხდა რეალურად, რადგან დარწმუნებული ვიყავით, რომ დაინახა, ვინ ესროლა და რაც მთავარია, ისიც იცოდა, რამდენი იყვნენ. ეჭვი გვქონდა, რომ მკვლელი მასთან ანგარიშის გასწორებას და დაწყებულის ბოლომდე მიყვანას ეცდებოდა, ამიტომ დაცვა დავუნიშნეთ და უმკაცრესად ვაკონტროლებდით მასთან შემსვლელთა ვინაობას. ნანატრი დღეც დადგა და მომხდარიდან მეათე დღეს, დაჭრილი ისეთ მდგომარეობამდე მივიდა, რომ მისი დაკითხვა შეიძლებოდა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

რაც შეეხება დაკითხვას, „სალონში ვიყავით ჩვენ სამნი, როცა ის ტიპი მოვიდა. გვითხრა, გადავიფიქრე, მანქანის ყიდვა აღარ მინდა, ფული დამიბრუნეთო. უარი ვუთხარი, მეგონა, ბიძაჩემს მანქანა უკვე შეკვეთილი ჰქონდა და ფულიც გადაგზავნილი იყო, ამიტომ დაცვას ვუთხარი, გააცილეთ-მეთქი. იმან კი, ორი დარტყმით, დაცვის ორივე წევრი გათიშა, იარაღი წაართვა, ჯერ ერთს ესროლა, მერე – მეორეს, მერე მე დამიმიზნა, ხელშეკრულება დამიბრუნე და სეიფი გააღეო, მიყვირა. დავემორჩილე, სეიფიდან მთელი ფული წაიღო, ხელშეკრულებაც, წასვლისას კი მეც იარაღი მომადო მუცელზე და მესროლა“...

გამომძიებლების მოლოდინი გამართლდა. აკი, ექსპერტიზამაც თქვა, დაჭრილს ძალიან ახლოდან ესროლესო. გაქცეულის ძებნა გრძელდებოდა და ძალოვნები იმას ფიქრობდნენ, რომ აღნიშნული თანხით ეჭვმიტანილმა საბაჟოს თანამშრომელი მოისყიდა და ქვეყანა დატოვა, მაგრამ ყველაფერი თავდაყირა უბნის რწმუნებულის ზარის შემდეგ დადგა – მან განყოფილებაში დარეკა და განაცხადა, ორმაგ მკვლელობასა და მკვლელობის მცდელობაში ეჭვმიტანილი შინ დაბრუნდა და ახლა სახლშიაო. მის დასაკავებლად სპეცდანიშნულების რაზმი გავიდა. გეგმა ასეთი იყო, კარზე მეზობელს უნდა დაეკაკუნებინა, ხოლო როცა კარს გააღებდა, სპეცრაზმი შეჭრილიყო. ყველაფერი გეგმის მიხედვით წავიდა, მარტო ის იყო გასაოცარი, რომ ეჭვმიტანილმა კარი მშვიდად გააღო და როცა სპეცრაზმის წევრები ეცნენ, გაოცებისგან ყბა ჩამოუვარდა. რაღა თქმა უნდა, მისი დაკითხვა არ გადადეს.

„მართალია, ცოტა გადავამლაშე, მაგრამ არ მეგონა, თუ ადამიანების ცემისთვის სპეცრაზმით ხდებოდა დაკავება. მანქანის ყიდვა იმიტომ გადავიფიქრე, რომ ჩემი საცოლის ძმა გახდა ცუდად და სასწრაფო ოპერაცია სჭირდებოდა. ასეთ ოპერაციას საქართველოში არ აკეთებენ, მაგრამ ბათუმში ჩამოვიდა გერმანელი ექიმი, რომელმაც თქვა, რომ რამდენიმე ასეთ ოპერაციას გააკეთებდა, ოღონდ ფული იყო საჭირო. ამიტომ, სალონს მივადექი, ფულს არ მიბრუნებდნენ, დაცვის ბიჭები გამეჭიმნენ, დაბლა დავყარე, მენეჯერსაც წამოვარტყი, სეიფი გავაღებინე, ჩემი ფული ავიღე, ხელშეკრულება გამოვართვი და წამოვედი. სეიფში სხვა თანხაც იყო, თუმცა ხელი არ მიხლია“, – ასე მარტივად დაიწყო და დაასრულა მოყოლა დაკავებულმა და როცა გაიგო, მკვლელობას ედვებოდნენ, პირი დააღო, რა მკვლელობა, ხომ არ გადაირიეთ, დაცვის ერთ-ერთ ბიჭს მაკაროვი წავართვი და იქვე, მაგიდაზე დავაგდე წამოსვლისასო. როცა ეჭვმიტანილმა გაიგო, რომ გარდაცვლილებს ორ-ორი ტყვია ჰქონდათ მოხვედრილი, გაეღიმა, სასროლეთზე გამიყვანეთ, იარაღი მომეცით და 20 მეტრში, ვაშლს მოვარტყამ, მოკვლა რომ მდომოდა, ორ-ორ ტყვიას რისთვის დავხარჯავდიო.

„ხომ არის შინაგანი ხმა? ჰოდა, ეს ხმა მეუბნებოდა, რომ დაკავებული არ ტყუოდა, ამიტომ დაჭრილის დისშვილს ხელიდან სინჯი ავუღეთ და სალონი გავჩხრიკეთ. ერთ-ერთი მანქანის საბარგულში ფულის დიდი ნაწილი ვიპოვეთ, მენეჯერის ხელებზე კი დენთის კვალი. მისი დაკითხვის დრო დადგა.

„როცა ყველაფერი დასრულდა, დავინახე ამდენი ფული სეიფში და მივხვდი, რომ ჩემი შანსი იყო. მაგიდაზე იარაღი ეგდო, დაცვის ბიჭები კი უგონოდ ეყარნენ. ორ-ორი ტყვია ვესროლე, რადგან არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ერთი მოკლავდა. მერე მე ვისროლე, ღვიძლის მხარეს არ მინდოდა, მაგრამ იარაღი რომ მოვაბრუნე, დავიბენი, მარჯვენა და მარცხენა ამერია. მანამდე ფული მანქანაში დავმალე, იარაღი კი იქვე დავაგდე, რომელზეც მისი ანაბეჭდები იყო და არა ჩემი, რადგან ნაჭრის ხელთათმანები მეცვა. ვიფიქრე, ყველა ვარიანტში მას დაბრალდება-მეთქი, ჩემი სიტყვაც იმის წინააღმდეგ იყო და მისთვის რატომ უნდა დაეჯერებინათ. მძიმე ჭრილობას რომ გადავურჩი, უფრო გამიხარდა, მეტი დამაჯერებლობისთვის გამომადგებოდა“, – თავი ჩაღუნა მენეჯერმა.

სასამართლომ შესაბამისად იმსჯელა და დაკავებულს განზრახ მკვლელობისთვის 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

აფეთქება მოსწავლეთა ბანაკში

ვინ დამალა ხელყუმბარა ტყეში და ვინ არის „არქეოლოგი“

ბათო ჯაფარიძე

მიუხედავად იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს, საქართველოს ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებები ნაკლებად მიმდინარეობდა, იყო არაერთი შემთხვევა, როცა გერმანულმა ძალებმა კავკასიონის გადმოლახვა სცადეს, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოუვიდათ. საქართველომ მეორე სამამულო ომში ყველაზე დიდი მსხვერპლი გაიღო და არ არსებობდა სოფელი თუ დაბა, საიდანაც წასულმა ახალგაზრდებმა თავი არ გაწირეს. ჰოდა, იმის მიუხედავად, რომ აქ ბრძოლები არ იყო, იარაღი მაინც ტრიალებდა და ომის შემდგომ ბევრმა გადამალა, ბევრმა ტყეში დამალა და იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც ციხის შიშით, ამ დამალული იარაღის საიდუმლო საფლავში წაიღეს. შემდეგ, ამბები თაობიდან თაობას ლეგენდებად გადაეცემოდა და არაერთი ლეგალური თუ არალეგალური გათხრა ჩატარდა – ადამიანები დამალულ იარაღს ეძებდნენ, ზოგი ვერ პოულობდა, ბევრმა იპოვა კიდეც.

„დასავლეთ საქართველოში, პიონერთა ერთ-ერთ ბანაკში, პიონერებმა ცეცხლი დაანთეს. ბოლოს კოცონს მხოლოდ ორი პიონერი შემორჩა და ხელმძღვანელმა მათ ცეცხლის ჩაქრობა დაავალა. ჰოდა, მაშინ, როცა დარჩენილებმა ნაკვერჩხალი გაქექეს და წყლის მოსატანად გატრიალდნენ, აფეთქების ხმა გაისმა. აფეთქების ტალღამ ორივე ბავშვი რამდენიმე მეტრზე მოისროლა და ორივე დააზიანა. რაღა თქმა უნდა, პიონერხელმძღვანელმა სასწრაფოსა და მილიციაში ერთდროულად დარეკა და ადგილზეც ერთდროულად მივედით“, – იხსენებს მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ექსპერტებმა მაშინვე დაადგინეს, რომ ხელყუმბარა აფეთქდა, მაგრამ უნდა გაერკვიათ, კონკრეტულად, რომელი ხელყუმბარა იყო და რაც მთავარია, როგორ მოხვდა ის კოცონში. ადგილობრივმა თქვა, რომ წლების წინ, იქ გათხრებს სახელმწიფოც აწარმოებდა და არალეგალურად სხვებიც თხრიდნენ, გერმანულ იარაღს ეძებდნენ და რაღაც ნაწილი იპოვეს კიდეცო. ძალოვნებმა მალე გაარკვიეს, რომ იმ ადგილზე გათხრები, მართლაც, წარმოებდა და სხვადასხვა საბრძოლო მასალასთან ერთად, ხელყუმბარებიც, კონკრეტულად, „ერ-გე-დე 33“ იპოვეს. ექსპერტიზამ მალე დაადგინა, რომ აფეთქებული ხელყუმბარაც სწორედ ასეთი იყო, მაგრამ...

„მეგონა, საქმეს მარტივად დავხურავდი, რადგან ეჭვგარეშე იყო, რომ აფეთქებული ხელყუმბარაც იმ პარტიიდან იყო, რომელიც ადრე იპოვეს. სავარაუდოდ, ის მიწის ზედაპირთან ახლოს იყო და როცა ბიჭებმა ნაკვერჩხლები გაქექეს, სწორედ მაშინ, ზომაზე მეტად გაცხელდა და აფეთქდა, თუმცა ექსპეტიზამ ყუმბარის ნაწილზე ლურჯი ფერის იზოლაციის ლენტი იპოვა, მეორე სამამულო ომის დროს, იზოლაციის ასეთი ლენტი არ იყო და ის მხოლოდ 70-იანი წლების მიწურულს გამოჩნდა. გამოდიოდა, რომ ვიღაცამ იზოლენტი ხელყუმბარას მას შემდეგ მიამაგრა, რაც იპოვა და იმ ადგილას დამარხა, სადაც პიონერთა ბანაკი ცეცლხს ანთებდა. როგორც პიონერხელმძღვანელმა თქვა, ისინი მუდმივად, ერთ კონკრეტულ ლოკაციაზე ჩერდებოდნენ და ცეცხლსაც ერთსა და იმავე ადგილას ანთებდნენ ანუ თუ ხელყუმბარა მანამდეც იქ იქნებოდა, ადრეც უნდა აფეთქებულიყო, თუნდაც მომხდარიდან სამი დღით ადრე, როცა ბევრად დიდი ცეცხლი და უფრო დიდხანს ენთო. საქმე განზრახ დანაშაულთან მქონდა და მიახლოებითაც კი ვერ ვხვდებოდი, ძიება საიდან უნდა დამეწყო, რადგან წარმოდგენა არ მქონდა, ვის შეიძლებოდა პიონერების დახოცვა თავში აზრად მოსვლოდა. ის ბიჭებიც შემთხვევით გადარჩნენ, ცეცხლთან ზურგით იდგნენ, წინა მხრიდან რომ მდგარიყვნენ, ნამსხვრევები გულ-მკერდს დაუფლითავდა, სახეს დაუზიანებდა და ორივე უპირობოდ დაიღუპებოდა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

ცეცხლის ჩასაქრობად ხელმძღვანელი მუდმივად სხვადასხვა ბავშვებს ტოვებდა ანუ სავარაუდო დამნაშავე ვერ გათვლიდა, რომელი ორი ბავშვი დარჩებოდა იმ დღეს კოცონის ჩასაქრობად. ერთადერთი ვარიანტი ის იყო, რომ პიონერხელმძღვანელს თავად დაემალა ხელყუმბარა, შემდეგ ორი ბავშვი თავად დაეტოვებინა, მაგრამ ესეც არარეალური ჩანდა. ჯერ ერთი, მას გარანტია არ ექნებოდა, რომ ხელყუმბარა სწორედ მათი წამოსვლის შემდეგ აფეთქდებოდა. გარდა ამისა, დაშავებულებიდან ერთ-ერთი მისი უმცროსი ძმა იყო და ძმას სასიკვდილოდ ნამდვილად არ გაიმეტებდა. ჰო, საინტერესო იყო ისიც, რომ იმ დღეს, პიონერები ტყეში წასვლას არ აპირებდნენ, რადგან დილიდან წვიმდა, თუმცა შემდეგ მოულოდნელად გამოიდარა, მზე გამოვიდა და ტყეში გასეირნებაც სპონტანურად გადაწყდა.

სამართალდამცავებმა გაარკვიეს, რომ დაჭრილი ბავშვებიდან ერთ-ერთს, ბანაკში გოგონა უყვარდა. ის გოგონა სხვა პიონერსაც უყვარდა და რამდენჯერმე ბიჭებმა ამის გამო იჩხუბეს კდიეც. ბოლო ჩხუბის დროს, მეტოქემ დაჭრილს უთხრა, ნახე, თუ არ მოგკლაო და... ბავშვებმა გაიხსენეს, რომ ბოლოს ცეცხლთან სწორედ ის ტრიალებდა, პიონერხელმძღვანელის მითითების მიუხედავად, იქვე, ახლოს მოგროვილი ნეშომპალა დააყარა ცეცხლს და საშინელი სუნიც დადგა. სწორედ ამის შემდეგ წავიდნენ სახლში ბავშვები და ამის შემდეგ მოხდა აფეთქებაც. რეალურად, დაშავებულებმა ნაკვერჩხალი კი არ გაქექეს, არამედ, ის ნეშომპალა მოაშორეს ცეცხლს, რომელსაც კვამლი და სუნი ასდიოდა. ყველამ დაადასტურა, რომ თუ ბიჭი მოინდომებდა, ნეშომპალაში ხელყუმბარას იოლად დამალავდა და ცეცხლში ისე ჩააგდებდა, თუმცა ისინი იმასაც ამბობდნენ, რომ ტყეში მიმავალს, ხელში არაფერი ეჭირა და თუ რამე ჰქონდა, სწორედ იმ ადგილის ახლოს უნდა დაემალა, სადაც პიონერები ცეცხლს ანთებდნენ. რაღა თქმა უნდა, სავარაუდო ეჭვმიტანილი დაკითხეს, თუმცა...

„პირველივე კითხვის დასმის შემდეგ გამოვრიცხე ამ ბავშვის მონაწილეობა. ჯერ ერთი, ძალიან შეშინებული იყო და მეორეც, როცა ვკითხე, ხელყუმბარის ხმარება თუ იცი-მეთქი, ლამის გული წაუვიდა, იარაღის ისე მეშინია, სათამაშო პისტოლეტიც კი არასდროს მქონიაო და ეს ძალიან გულწრფელი პასუხი იყო“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

სხვათა შორის, ექსპერტებმა ლამის სასწაული მოახდინეს და იმ წებოვან ნაჭერზე, რომელიც ხელყუმბარას ჰქონდა შემოხვეული, თითის ანაბეჭდის ნაწილიც იპოვეს. მართალია, მხოლოდ ნაწილი, მაგრამ პირის იდენტიფიცირებისთვის სავსებით საკმარისი იქნებოდა. ახლა, მთავარი იყო, მოტივი და დამნაშავის ვინაობა გარკვეულიყო (უფრო პირველი, რადგან გამოძიებას სცოდნოდა, ვინ უნდა ეძებნა). ამიტომ, გამომძიებლები ისევ ადგილობრივებს მიადგნენ.

„ეს არ არის პირველი აფეთქება, ოთხი წლის წინ, ჩვენი სოფლის ტრაქტორისტი აფეთქდა და თან როგორ, ტრაქტორი ხომ გადასაგდები გახდა და ბიჭმა ფეხიც დაკარგა. სულ უფრო საშიში ხდება აქ ცხოვრება“, – თქვა ერთ-ერთმა ადგილობრივმა და ძალოვნები დაშავებულს მიადგნენ. ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე კაცი ყავარჯნებზე იდგა და სტუმრების მისვლა არ გაჰკვირვებია, მშვიდად მიიღო. როცა კითხვების დასმა დაუწყეს, აგდებულად პასუხობდა, ბოლოს კი იკითხა, ვინმე გარდაიცვალა, თუ ყველა ცოცხალიაო და როცა ორი დაშავებული ბავშვის შესახებ უთხრეს, სახე მოექცა, ჯერ ატირდა, მერე კი ბოლო ხმაზე აღრიალდა.

„ოთხი წლის წინ, ერთი კაცი მოვიდა და მითხრა, არქეოლოგი ვარ, ამა და ამ ადგილზე, ტყეში ორმოს ამოთხრა მჭირდებაო. რაღაც ბეჭდიანი საბუთიც კი მაჩვენა, რომელსაც კარგად არც კი დავხედე. საცოლე მყავდა, შემოდგომისთვის ქორწილს ვაპირებდი, ეს არქეოლოგი კიდევ მეუბნება, სახელმწიფომ გათხრებისთვის თანხა გამომიყო, თუ დამეხმარები, 500 მანეთს მოგცემო. წავყევი და თხრა დავიწყე. აფეთქება მაშინ მოხდა და აზრზე საავადმყოფოში მოვედი. ის არქეოლოგი გაქრა, სახელი და გვარიც კი არ ვიცოდი. სახელმწიფო უწყებებმა კი თქვეს, რომ აღნიშნული პირი არქეოლოგი ნამდვილად არ იყო და საკუთარი ინიციატივით ეძებდა რაღაცებს. ფეხი დავკარგე, საცოლე დავკარგე და ცხოვრებაც დავკარგე... იმ ადგილზე რამდენჯერმე მივედი და ერთ დღეს, მიწიდან ამოჩრილი მეტალი დავინახე. წინა დღეს წვიმა იყო და იმას გაერეცხა კიდეები. სამი ცალი ხელყუმბარა ვიპოვე, შინ წამოვიღე და რადგან ტარი გაცვეთილი ჰქონდა, წებოვანი ლენტი დავახვიე. რაღაც ხმა მეუბნებოდა, რომ ეს ხელყუმბარა გამომადგებოდა. ჰოდა, რამდენიმე დღის წინ, შემთხვევით, ის კაცი ისევ დავინახე. წვერი ჰქონდა მოშვებული, მაგრამ მაინც ვიცანი. მეზობლის ბავშვს 5 მანეთი მივეცი, ის უთვალთვალებდა და მითხრა, ისევ რაღაცებს თხრის, ოღონდ პატარა ბარითო. ისიც თქვა, იმ ადგილზე ჩერდება, სადაც პიონერები არიან და ცეცხლსაც იქ ანთებსო. ზუსტად ვიცოდი, რომ წვიმაში პიონერები ტყეში არ დადიოდნენ, როგორც კი გაწვიმდა, წავედი და იმ ადგილზე, სადაც ცეცხლს ანთებდნეენ, ერთი ხელყუმბარა დავმალე. მინდოდა, იგივე ეგრძნო, რაც მე ვიგრძენი. დავინახე, როგორ მივიდა იმ ადგილზე და იქაურობა დავტოვე. ორი საათი ველოდი აფეთქების ხმას და როცა გაისმა, თითქოს, შინაგანად დავისვენე. არავისთვის არაფერი მიკითხავს, გარეთაც კი არ გავსულვარ, ვიცოდი, ადრე თუ გვიან, აუცილებლად გავიგებდი, რა მოხდა, ახლა კი თქვენ მეუბნებით, რომ იმ არაკაცის ნაცვლად, ბავშვები აფეთქდნენ. მზად ვარ, კანონის მთელი სიმკაცრით დავისაჯო“, – დაასრულა მოყოლა კაცმა.

მისი ანაბეჭდი წებოვან ლენტზე აღმოჩენილს დაემთხვა და ის მკვლელობის მცდელობისთვის გაასამართლეს, ხოლო რადგან ბავშვები დაშავდნენ, 7 წელი მიუსაჯეს. „არქეოლოგიც“ მალე იპოვეს და მას საკუთარი ინიციატივით, არაკანონიერი გათხრების გამო, დიდი სასჯელი არ ემუქრებოდა, თუმცა მისი ბინის ჩხრეკისას აღმოჩენილი იარაღი საკმარისი გახდა, რომ იარაღის უკანონო შენახვისთვის გაესამართლებინათ.

ბათო ჯაფარიძე

ახალი წელი – დღესასწაული, რომელიც ნამდვილ ზეიმსა და სიახლის მოლოდინთან ასოცირდება. ეს არის ერთადერთი დღესასწაული, რომელიც დიდებსაც და პატარებსაც ერთნაირად უხარიათ და ძალიან, ძალიან იშვიათია შემთხვევა, როცა ახალ წელს ვინმე იმედით არ ელოდება და არ სჯერა, რომ მომავალი გასულზე უკეთესი იქნება. ახალი წელი წარმოუდგენელია თოვლის პაპის გარეშე და მართალია, ახლა სანტა კლაუსის ფორმაში გამოწყობილ ადამიანებს უფრო ნახავთ, ვიდრე ნაბადმოხურულ და ხურჯინგადაკიდებულ ქართულ თოვლის ბაბუს, მაგრამ პატარებს ყველაფერი ახარებთ. ასე იყო მაშინაც, როცა საქართველოს ყველაზე მეტად უჭირდა, როცა თითქოს არაფერი იშოვებოდა, მაგრამ ახალ წელს ყველა ახერხებდა რაღაცის შეძენას და სუფრის გალამაზებას. ჰოდა, 90-იანი წლების გარიჟრაჟზე, თოვლის პაპის ფორმაში გამოწყობილმა ადამიანმა, ერთ-ერთი კორპუსის სადარბაზოსთან, ცოლ-ქმარს მაყუჩიანი იარაღით ცეცხლი გაუხსნა. ქალი ადგილზე გარდაიცვალა, მამაკაცი მძიმედ დაიჭრა და დამნაშავე მიიმალა.

საზარელი კრიმინალი – ადვოკატი ცოლი მოკლეს, ქმარი კი დაჭრეს

როგორ იძია შური მამაკაცმა ყოფილ საცოლეზე

„საქმეს გრიფით „საიდუმლო“ იმ მიზეზით დაედო, რომ ცოლი ადვოკატი გახლდათ, ქმარი – ერთ-ერთი რაიონის პროკურორი და თავიდანვე ყველამ ჩავთვალეთ, რომ საქმე მათ პროფესიულ საქმიანობას ეხებოდა. მით უმეტეს, პროკურორი კონკრეტულ დროს ერთ-ერთ, ძალიან რეზონანსულ საქმეზე გამოდიოდა სახელმწიფო მბრალდებლად და ციხეში კრიმინალური დაჯგუფების ორი ლიდერის გაშვებას აპირებდა. მთავარი ეჭვმიტანილები სწორედ ამ დაჯგუფების წევრები გახდნენ“, -გვიყვება 90-იანების კიდევ ერთ სისხლიან ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

წყვილს 15 წლის ბიჭი დარჩა, რომელიც მომხდარით შოკირებული იყო და აღარ იცოდა, გარდაცვლილი დედა ეტირა, თუ აპარატზე შეერთებული მამა. სამართალდამცავებმა, სტრესის მიუხედავად, ბავშვის დაკითხვა მალე მოახერხეს და როგორც თქვა, შემთხვევამდე სამი დღით ადრე, დედამ მამას სთხოვა, იქნებ, ამ საქმეს შეეშვა, გული ცუდს მიგრძნობსო. მამამ კი ჯიუტად თქვა, მე პროკურორი ვარ და თუ კრიმინალების შემეშინდება, რიგით ადამიანებს რაღა დაემართებათო. ეჭვი, რომ საქმეში კრიმინალური დაჯგუფება იყო გარეული, უფრო გამძაფრდა. დაიკითხნენ მეზობლები და ერთ-ერთმა ძალიან საინტერესო ჩვენება მისცა.

„აივნიდან ვიხედებოდი, როცა ისინი მანქანით მოვიდნენ. მძიმე ჩანთები ქმარმა აიღო და სადარბაზოში შევიდა, ქალი ნელა მიდიოდა უკან, როცა თოვლის პაპის ფორმაში გამოწყობილი ადამიანი მიუახლოვდა, ჯერ რაღაც უთხრა, შემდეგ ხელოვნური წვერი ჩამოიწია, სახე დაანახა ქალს და გულში მიბჯენით ესროლა. სროლამდე ქალმა დაყვირება მოასწრო და ამის შემდეგ გამოვარდა ქმარი სადარბაზოდან. თოვლის პაპამ მას ჯერ თავისკენ მიუშვირა იარაღი, შემდეგ მუცელში ესროლა და წავიდა“, – განაცხადა თვითმხილველმა და ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს მკვლელი სწორედ ქალზე ნადირობდა და არა – კაცზე.

იყო მეორე ვერსიაც – ქმარი ცოლის მკვლელობით დაეაშინეს. ასე იყო თუ ისე, კრიმინალური დაჯგუფების წევრები სათითაოდ დაიკითხნენ, მაგრამ ყველა მათგანს ალიბი ჰქონდა, თუმცა ამ შემთხვევაში, ალიბი არ იყო გამოსავალი, მათ მარტივად შეეძლოთ „ქილერის“ დაქირავება და საკუთარი ალიბის უზრუნველყოფა.

ყოველი შემთხვევისთვის, შეისწავლეს ყველა ის საქმე, რომელსაც ქალი აწარმოებდა და საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინეს. როგორც ჩანს, პროკურორი ქმარი ცოლს მძიმე საქმეებს არიდებდა და მხოლოდ ისეთებს აძლევდა, რომელსაც მძიმე შედეგები არ მოჰყვებოდა, ძირითადად, სამოქალაქო დავებს და ა.შ.

მოულოდენლად, გამომძიებლებთან დაზარალებულების შვილი მივიდა და მშვიდად თქვა: „ვიფიქრე და მივხვდი, ვინ მოკლა დედაჩემი და ვინ ესროლა მამაჩემს. ეს მამიდას მეგობარი მამაკაცია, რომელსაც ერთი კვირის წინ, მამა ეჩხუბა და კიბიდან დააგორა“.

ეს რაღაც ახალი იყო. სამართალდამცავებმა სასწრაფოდ მოიძიეს და გაარკვიეს, რომ პროკურორის დასთან, აგერ, უკვე ორი წელი, წარსულში ყაჩაღობისთვის ნასამართლევი პირი ცხოვრობდა და ამის გამო, პროკურორს დასთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. ეჭვმიტანილი იმ დღესვე დააკავეს და დაკითხეს.

„რა იყო წარსულში, აღარ მაინტერესებს. მე გამოვსწორდი და მცირე ბიზნესის დაწყება მსურდა. ცოლის ძმასთან და სწორედ რომ ცოლად ვთვლი იმ ქალბატონს, ფულის სასესხებლად მივედი. არა მარტო უარით გამომისტუმრა, დამპირდა კიდეც, ციხეში ჩაგსვამო და ძალიან გავბრაზდი, შევაგინე და იმან კიბიდან დამაგორა. რაც შეეხება მკვლელობას... ამის გამო, კაცს არ მოვკლავდი და კიდევ ვიმეორებ, მე გამოვსწორდი“, – განაცხადა მან და მისი ხელიდან აღებულმა სინჯმაც ანახა, რომ უახლოეს წარსულში, მას იარაღიდან ნასროლი არ ჰქონდა.

გამოძიება ისევ პირველ ვერსიას დაუბრუნდა და ისევ კრიმინალური დაგჯუფების გარშემო დაიწყო ტრიალი.

ამასობაში, პროკურორი ექიმებმა იმ მდგომარეობამდე მიიყვანეს, რომ მისი დაკითხვა შეიძლებოდა.

„წარმოდგენა არ მაქვს, ვინ გვესროლა. სადარბაზოში ლიფტს ველოდებოდი, როცა ცოლთან თოვლის პაპა მივიდა. ახალი წელი მოდის, ამიტომ არ გამკვირვებია, სახე რომ დაანახა, ეგეც დავინახე, მაგრამ ცოლი მეფარებოდა და ვერ გავარჩიე, ვინ იყო. ერთადერთი სიტყვა, რაც გავიგონე, ცამეტია. მერე მოხდა გასროლა, გარეთ გავვარდი და მან ჯერ თავში დამიმიზნა და როცა ვიფიქრე, მეც მომკლავს-მეთქი, მოულოდნელად ხელი დასწია და მუცელში მესროლა“, – სულ ეს იყო, რაც პროკურორმა თქვა.

„ცამეტი“ – ერთადერთი სიტყვა, რომელიც შეიძლებოდა გამოძიების გასაღები გამხდარიყო. გადახედეს ყველა საქმეს, რომელშიც მოკლული ქალი ადვოკატად გამოდიოდა, მაგრამ ბედის ირონიით, 13 წელი არავის ჰქონდა მისჯილი. ყოველი შემთხვევისთვის, გადაამოწმეს მამიდის მეგობარი მამაკაციც და... მას ყაჩაღობისთვის 8 წელი მიუსაჯეს, ციხეში კი ორჯერ, 2 და 3 წელი დაუმატეს და საბოლოოდ, 13 წელი გამოვიდა. ის ისევ დააკავეს და მიუხედავად იმისა, რომ პროკურორიც და მეზობელიც ამბობდნენ, თოვლის პაპას ხელთათმანები არ ეკეთაო, ხელებიდან სინჯი მეორედ აუღეს და ალიბიც ახლიდან გადაუმოწმეს. ახალი ვერაფერი შეიტყვეს, თუმცა მილიციის განყოფილებაში პროკურორის და მივარდა და ბოლო ხმაზე კიოდა, იმ ბოზის გამო, ჩემს ქმარს რატომ იჭერთ, ახლა ჩემმა ძმამ ვიღაცის ნაბიჭვარი უნდა ზარდოსო. ეს რაღაც ახალი იყო და გამომძიებლები კვლავ პროკურორს მიადგნენ.

„დასამალი არაფერი მაქვს. ახალგაზრდობაში, რაღაც დაავადების გამო, გავიგე, რომ შვილი არასდროს მეყოლებოდა. ცოლს ვიცნობდი საადვოკატო საქმინობიდან და ერთ-ერთ პროცესზე გული აერია, მერე თქვა, ერთი თვის ორსული ვარო და ატირდა, გავიგე, რომ საქმრომ მიატოვა და... როგორც ქალი, ძალიან მომწონდა, ამიტომ გადაწყვეტილება სასწრაფოდ მივიღე, ცოლად მოვიყვანე და ბავშვს, როგორც საკუთარს, ისე ვზრდი. მგონი, არც ის უნდა იყოს ჩემით უკმაყოფილო“, – თქვა პროკურორმა და ბიჭმაც დაადასტურა, რომ ერთი წლის წინ, მამიდას ეს ყველაფერი წამოსცდა, დედ-მამამ კი აუხსნა, რა და როგორ იყო და მშობლების მიმართ სიყვარული არ განელებია, უფრო მეტადაც შეუყვარდა გამზრდელი.

რაც შეეხება ბავშვის მამას, პროკურორი ამბობდა, ვიღაც კრიმინალი იყო, შემდეგ ციხეშიც გაუშვესო და... სახელი და გვარიც გაიხსენა. სამართალდამცავებმა დასახელებული პირი მალე იპოვეს და მისი ხელიდან აღებულმა სინჯმა აჩვენა, რომ რამდენიმე დღის წინ, იარაღიდან ისროლა. გარდაცვლილი ქალის შვილმაც თქვა, შემთხვევამდე ორი კვირით ადრე, ვიღაც კაცი ქუჩაში შემხვდა, გადამეხვია, ლოყაზე მაკოცა და როცა გავიკვირვე, მითხრა, შემეშალე, შვილო, სხვა მეგონეო. ბიჭმა უცნობში დაკავებული ამოიცნო.

„მკვლელი გგონივართ, ხო? არა, მე მკვლელი არ ვარ, მე ჩემს შვილს საშინელი ქალი მოვაცილე გვერდიდან. ის ძალიან, ძალიან მიყვარდა. ცოლად მოყვანასაც ვაპირებდი, მაგრამ უარი მითხრა, სხვა გეგმები მაქვსო. ვიცოდი, ორსულად რომ იყო და როცა გათხოვდა, გადავირიე. ჩუმად შევხვდი და მითხრა, პროკურორმა მაიძულა ცოლად გავყოლოდი, რადგან ერთ-ერთ საქმეში რაღაც შემეშალა და დაჭერით დამემუქრაო. ძალიან გავბრაზდი და ეს კიდევ მეუბნება, სანამ ის ცოცხალია, ვერაფერს ვიზამთ, უნდა მოკლა, იარაღს მე ვიშოვიო. ბინდი მქონდა გადაკრული თვალებზე, ვიღაც ცოლსა და შვილს მართმევდა. იარაღი მეორე დღეს გამოვართვი, მკვლელობა მესამე დღისთვის დაიგეგმა, როგორც ჩემმა საცოლემ მითხრა, მისი ქმარი ამ დღეს ქალაქგარეთ გადიოდა და მანქანას გზაზე უნდა დავხვედროდი. ჰო, როცა იარაღი მომცა, ტყეში წამაყვანინა თავი, მასროლინა იარაღიდან, რომ მიეჩვიოო და შინ გამატანა. იმავე დღეს, სახლში მილიცია დამადგა, ჩხრეკა ჩაატარეს, იარაღი მიპოვეს და იმ იარაღით ვიღაცის მკვლელობა შემტენეს. ასე მომისაჯეს 13 წელი. მერე გავიგე, რომ ცოლი ვიღაც დიდი კაცის შვილს იცავდა, მამამისი უზარმაზარ ფულს იხდიდა, ოღონდ ციხიდან დაიხსენიო. მკვლელობის იარაღი მილიციამ ვერ იპოვა, მაგრამ დაკავებულმა ხომ იცოდა, სადაც შეინახა, ამიტომ ადვოკატმა გამოართვა, მე შემაჩეჩა და ორი კურდღელი დაიჭირა – მე ციხეში გამიშვა, დიდი ფული აიღო და ბიჭი გაათავისუფლა. არ ვნანობ მის მკვლელობას და პროკურორი იმიტომ არ მოვკალი, რომ მითხრეს, კარგი მამააო“, – დაასრულა მოყოლა დაკავებულმა.

იმის მიუხედავად, რომ მკვლელობაში ბრალდებულმა ერთადერთი რამ, შვილთან შეხვედრა ითხოვა, ეს შეხვედრა არ შედგა, რადგან ბიჭმა მისი ნახვა არ ისურვა. სასამართლომ მას 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მაგრამ სამი წლის შემდეგ, ციხეში ტუბერკულოზით გარდაიცვალა. ბიჭი კი... ბიჭი დღეს საკმაოდ ცნობილი პროკურორია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა სხვადასხვა ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელთა მსოფლიო ოლიმპიადაზე ოქროს მედლები მოიპოვეს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ჰოლანდიაში, ქალაქ როტერდამში, სხვადასხვა ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლების მონაწილეობით გამართულ ოლიმპიადაზე – „პოლიციელთა და მეხანძრეთა მსოფლიო ოლიმპიური თამაშები – 2022“, ოქროს მედლები მოიპოვეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა, თეიმურაზ კალანდაძემ ძალისმიერ წოლჭიმში, 74-კილოგრამიანთა კატეგორიაში მეტოქე დაამარცხა, პირველ ადგილზე გავიდა და ოქროს მედალი მოიპოვა.

სპორტის ამავე სახეობაში, ასევე პირველი ადგილი დაიკავა და ოქროს მედალი მოიპოვა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელმა, ლევან გილიგაშვილმა, რომელიც 83-კილოგრამიანთა წონით კატეგორიაში ასპარეზობდა.

აღსანიშნავია, რომ თეიმურაზ კალანდაძესა და ლევან გილიგაშვილს არაერთი საერთაშორისო ტიტული აქვთ მოპოვებული. ისინი საქართველოს, ევროპისა და აზიის მრავალგზის ჩემპიონები არიან.

ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებს შორის, ქალაქ როტერდამში მიმდინარე მსოფლიო ოლიმპიადაში, რომელიც სპორტის სხვადასხვა სახეობას მოიცავს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა წარმომადგენლები შესაბამის სახეობასა და წონით კატეგორიაში მონაწილეობას განაგრძობენ.

პოლიციამ სხვისი ნივთის დაზიანების ბრალდებით ერთი პირი დააკავა

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1991 წელს დაბადებული თ.ხ. სხვისი ნივთის დაზიანების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 3 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 23 ივლისს, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა თ.ხ.-მ, 1983 წელს დაბადებული კ.ა.-ს სარგებლობაში არსებული ავტომობილი დააზიანა.

სამართალდამცველებმა ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

ვახტანგ გომელაური პოლონეთის რესპუბლიკას პოლიციის დღეს ულოცავს

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, ვახტანგ გომელაური პოლონეთის რესპუბლიკას და პოლონეთის პოლიციის უფროსს, გენერალ იაროსლავ შიმჩიკს პოლიციის დღეს ულოცავს.

ოფიციალურ წერილში ვახტანგ გომელაური ორ სამართალდამცავ უწყებას შორის არსებული მჭიდრო თანამშრომლობის კიდევ უფრო გაძლიერების შესახებ წერს.

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პირადად ჩემი სახელით, მინდა, გულითადად მოგილოცოთ პოლონეთის რესპუბლიკის პოლიციის დღე. მსურს, თქვენ და თითოეულ პოლიციელს ვუსურვო მშვიდობა, კეთილდღეობა და წარმატება უაღრესად საპასუხისმგებლო სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი საერთო ძალისხმევით, ორ სამართალდამცავ უწყებას შორის არსებული მჭიდრო თანამშრომლობა კიდევ უფრო გაძლიერდება, რაც წარმატებული მიღწევების განმაპირობებელი იქნება, ორივე ქვეყნის სასარგებლოდ“, – ნათქვამია მისალოც წერილში, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა პოლონეთის პოლიციის უფროსს, გენერალ იაროსლავ შიმჩიკს გაუგზავნა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, კანონპროექტები შეიმუშავა

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

სამინისტრომ, პრაქტიკაში გამოვლენილი გამოწვევების გათვალისწინებით, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტები შეიმუშავა, რომლებიც ხელს შეუწყობს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ხარისხის გაუმჯობესებას.

კანონპროექტის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განსაზღვრულია ცვლილებები:

დასჯადი ხდება ე.წ. დრიფტი, რაც გულისხმობს ავტომობილის განზრახ მოცურებას/მოსრიალებას ან/და მოცურებით წრიული ბრუნვის განხორციელებას. სანქციად წესდება ჯარიმა – 300 ლარის ოდენობით და მართვის მოწმობაზე მინიჭებული ქულების 30 ქულით შემცირება;

დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს, თუ ე.წ. დრიფტს მოჰყვება ზიანი. აღნიშნული გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით და მართვის მოწმობაზე მინიჭებული ქულების 35 ქულით შემცირებას;

დასჯადი ხდება ჩამოწერის შედეგად აღრიცხვიდან მოხსნილი სატრანსპორტო საშუალების მართვა. აღნიშნულისთვის წესდება ჯარიმა – 2 000 ლარის ოდენობით და მართვის მოწმობის 30 ქულით შემცირდება;

შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმების და/ან კანონმდებლობით განსაზღვრული სპეციალური აღჭურვილობისა და შეფერილობის ავტომანქანით გაცილების გარეშე, არაგაბარიტული სატრანსპორტო საშუალებით გზაზე მოძრაობისთვის სანქცია, ნაცვლად 100 ლარისა, იქნება ჯარიმა – 1 000 ლარი, ხოლო თუ აღნიშნულ სამართალდარღვევას მოჰყვა ზიანი, 250 ლარის ნაცვლად, დაწესდება ჯარიმა – 2 000 ლარი;

სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება 40 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით, 150 ლარის ნაცვლად, გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით;

კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით დამუქებული მინებით სატრანსპორტო საშუალების მართვა, 50 ლარის ნაცვლად, გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით;

დასჯადი ხდება ისეთი სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომლის ექსპლუატაციისას წარმოქმნილი ხმაურის დონე აღემატება დადგენილ ნორმატივებს. სანქციის სახედ წესდება ჯარიმა – 100 ლარის ოდენობით და მართვის მოწმობაზე მინიჭებული ქულების 10 ქულით შემცირება. პირველ ეტაპზე მოწესრიგდება საკანონმდებლო ჩარჩო, ხოლო შემდგომ მოხდება ხმაურისმზომი აღჭურვილობის შეძენა.

გარდა ამისა, აღმოიფხვრება ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებული რიგი პრობლემები, მათ შორის, განისაზღვრება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიღებული დადგენილების გამოქვეყნების წესი, რომლითაც შემცირდება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიღებული დადგენილების ჩაუბარებლობის შემთხვევები.

ცვლილება შედის აგრეთვე „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში. რიგი სამართალდარღვევებისთვის გათვალისწინებულია მართვის მოწმობისთვის მინიჭებულ ქულათა რაოდენობის შემცირება.

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტები საქართველოს პარლამენტს გადაეგზავნა.

თბილისის „დინამო“ იყიდება

რა ღირს საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი კლუბი და ვის სურს მისი შეძენა? თბილისის „დინამოს“ მფლობელმა რომან ფიფიამ დაადასტურა, რომ კლუბის გაყიდვა სურს. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ყველაზე ტიტულოვანი ქართული კლუბი, კონფერენს-ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ შეხვედრაში, ესტონურ „პაიდესთან“ ორრაუნდიან ბრძოლაში დამარცხდა და უკვე მერამდენედ, ევროპის მასშტაბით თავი შეირცხვინა. „პაიდე“, რომელსაც არსებობის 19-წლიანი ისტორია აქვს, ამას არ ელოდა და აკი, ლამის ეროვნულ დღესასწაულად გამოაცხადეს თბილისურ კლუბთან გამარჯვება. ჰოდა, ფიფიამ განაცხადა, რომ მზადაა „დინამოს“ შეელიოს. სანამ მყიდველებზე გადავალთ, ის ვთქვათ, რა ღირს „დინამო“, საქართველოში ყველაზე დიდი ინფრასტრუქტურით და... არც თუ მცირე მოგებით. ჰო, მოგებით.

ოფიციალური ინფორმაციით, გასულ წელს, „დინამოს“ აქტივი 13.9 მილიონ ლარს შეადგენდა, ხოლო ვალდებულებები – 16.5 მილიონს. გასულ წელს, თბილისურმა კლუბმა შემდეგი შემოსავალი მიიღო: ბილეთების გაყიდვიდან – 46 152 ლარი, სპონსორებისა და რეკლამიდან – 365 058 ლარი, ტრანსლაციის უფლებიდან – 49 190 ლარი, კომერციული შემოსავლიდან – 765 767 ლარი, უეფადან მიღებული თანხა – 2 979 180 ლარი, სუბსიდია სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოდან – 3 113 400 ლარი, შემოსავალი არასაფეხბურთო საქმიანობიდან – 2 007 181 ლარი, ფეხბურთელების გაყიდვიდან – 7 635 338 ლარი, სხვა შემოსავლიდან – 3 821 536 ლარი.

დოკუმენტის თანახმად, გასული წელი „დინამომ“ 5.9 მილიონი ლარის მოგებით დაასრულა, თუმცა კლუბის ფინანსური ანგარიშის მიხედვით, შარშანდელი ფინანსური სახსრების სხვაობა უარყოფითია და ის მინუს მილიონი ლარია ანუ უარყოფით ბალანსი დაჯდა. 2021 წელს, კლუბის მოგება ორმა ტრანსფერმა განაპირობა – გუნდმა გიორგი მამარდაშვილი და ლუკა გაგნიძე გაყიდა და მართალია, ეს თანხა 2021 წლის ბიუჯეტში აისახა, რეალურად, ამ ფულს „დინამო“ ეტაპობრივად მიიღებს ანუ სრულად არ მიუღია და უარყოფითი ბალანსიც ამის შედეგია.

რაც შეეხება მყიდველებს, ჩვენი ინფორმაციით, ფიფიასთან მოლაპარაკებებს ქართულ ფეხბურთში (და არა მარტო) ცნობილი ორი პიროვნების წარმომადგენლები აწარმოებენ. ერთი კახა კალაძეა, მეორე – მერაბ ჟორდანია, სფფ-ის ყოფილი პრეზიდენტი და „დინამოს“ ყოფილი მფლობელი. მართალია, ოფიციალური განცხადება ჯერ არ გაკეთებულა, მაგრამ როგორც გვეუბნებიან, ბევრად მეტია იმის შანსი, რომ „დინამო“, სწორედ კალაძემ იყიდოს და მისი თანამფლობელი ბერა ივანიშვილიც გახდეს. ბიძინა ივანიშვილის შვილს არაერთხელ უთქვამს, რომ ქართულ ფეხბურთში ფულის დაბანდება სურდა, ოღონდ რომელიმე სახელიან გუნდში და „დინამოზე“ სახელიანი ქართულ ფეხბურთს არ ჰყავს.

ბათუმის „დინამოს“ გულშემატკივრები კლუბს დაუპირისპირდნენ

საქართველოს ჩემპიონი ბათუმის „დინამო“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპიდან გამოვარდა და კონფერენს-ლიგაზე გადაერთო, რომელსაც ასევე დიდი ალბათობით დაემშვიდობება, რადგან პირველ შეხვედრაში, პოლონურ „ლეხთან“ ბათუმელებმა 0:5 წააგეს. ამის მიუხედავად, გულშემატკივარი აჭარულ კლუბს გვერდში უდგას და ამხნევებს, თუმცა მათ ახალი ტრანსფერი არ მოეწონათ. გულშემატკივრებმა ოფიციალური წერილიც კი გაავრცელეს და მოითხოვენ, რომ „დინამომ“ კლუბის ახალ ფეხბურთელთან, პაატა ღუდუშაურთან გაფორმებული ხელშეკრულება გააუქმოს და ის გუნდიდან გაუშვას. ღუდუშაური აჭარლებმა რამდენიმე დღის წინ, გორის „დილადან“ იყიდეს და მის სანაცვლოდ, 120 ათასი დოლარიც გადაიხადეს.

„პროფესიული მატჩების მოსყიდვის ფაქტზე ბრალდებული ფეხბურთელის დამატება გუნდის შეურაცხყოფაა. მოვითხოვთ, „დინამომ“ პაატა ღუდუშაური გუნდიდან გაუშვას“, – ნათქვამია განცხადებაში.

ღუდუშაურს ბრალი გარიგებული მატჩების ორგანიზებაში 2019 წელს დასდეს და მას სამუდამო დისკვალიფიკაციაც მისცეს, ის დააკავეს კიდეც, თუმცა შემდეგ პროკურატურამ მას ბრალი მოუხსნა, სადისციპლინო კომიტეტის განაჩენსაც გადახედეს და ის ფეხბურთს დაუბრუნდა.

„ნაპოლიში“ პენალტებს კვარაცხელია დაარტყამს

სასიხარულოა, რომ იტალიაში ჩემპიონატის დაწყებას ჟურნალისტები და გულშემატკივრები „ნაპოლის“ ახალგაზრდა ფეხბურთელის, ხვიჩა კვარაცხელიას გამო ელიან. ყველა ამბობს, რომ ქართველმა იტალიის პირველობაზე ნამდვილი ფურორი უნდა მოახდინოს და ის, რასაც ხვიჩა ვარჯიშებსა და ამხანაგურ მატჩებში აკეთებს, თუ ოფიციალურ შეხვედრებშიც მოახერხებს, აპენინებზე ნამდვილად მთავარი ვარსკვლავი იქნება. ის „ნაპოლიმ“ გუნდის კაპიტნისა და მთავარი მეგოლის, ლორენცო ინსინეს შემცვლელად იყიდა და როგორც ჩანს, არც შემცდარა. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, გუნდიდან ინსინეს წასვლის შემდეგ, დადგა საკითხი, თუ ვინ შეასრულებდა ახალ სეზონში თერთმეტმეტრიან დარტყმებს. ინსინე გუნდის შტატიანი პენალტისტი იყო და...

„მომავალ სეზონში, პენალტებს კვარაცხელია დაარტყამს“, – მოკლედ მოჭრა პრესკონფერენციაზე გუნდის თავკაცმა, ლუჩანო სპალეტიმ და ახლა ყველა იმას ელოდება, როდის გავა ოფიციალურ მატჩში ხვიჩა მოედანზე. ჰო, ცალკე სასიხარულო ამბავია ის, რომ ნეაპოლელი გულშემატკივარი ვარჯიშის შემდეგ, ავტოგრაფისთვის ერთადერთ ფეხბურთელს ელოდება და ეს ფეხბურთელი ხვიჩა კვარაცხელიაა.

ცნობისთვის, იტალიის ჩემპიონატის ახალი სეზონი 13 აგვისტოს უნდა დაიწყოს, თუმცა...

„ახლა, იტალიაში, ჰაერის ტემპერატურია პლიუს 36 გრადუსია და თუ ტემპერატურა არ დაიკლებს, სეზონის სტარტის გადაწევა მოგვიწევს. ასეთ სიცხეში, მოედანზე ფეხბურთელებს ვერ გავიყვანთ“, – განაცხადა სერია A-ს პრეზიდენტმა, ლორენცო კასინიმ.

ზუროსმა კალათბურთელთა შეკრება დაიწყო

საქართველოს საკალათბურთო ნაკრების თავკაცმა, ილიას ზუროსმა ეროვნული გუნდი სლოვენიაში ჩაიყვანა და ევროპის ჩემპიონატისა და მსოფლიოს 2023 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მზადება დაიწყო. გუნდი სლოვენიის ქალაქ როგლაში, 25 ივლისიდან 4 აგვისტომდე მოემზადება, შემდეგ კი ამხანაგურ მატჩებს გამართავს და ოფიციალურ შეხვედრებს, წესით, ფორმის პიკში უნდა შეხვდეს. 24 აგვისტოს, მსოფლიოს საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩში, თბილისში ნიდერლანდებს ვმასპინძლობთ, 27 აგვისტოს კი, ბრეშაში იტალიას ვსტუმრობთ. ამის შემდეგ, ჩვენი გუნდი სრულად „ევრობასკეტის“ მატჩებზე გადაერთვება. აი, „ევრობასკეტის“ კალენდარიც:

1 სექტემბერი: ბელგია – საქართველო;
3 სექტემბერი: საქართველო – ესპანეთი;
4 სექტემბერი: თურქეთი – საქართველო;
6 სექტემბერი: საქართველო – ბულგარეთი;
7 სექტემბერი: მონტენეგრო – საქართველო;

ტაქსის მძღოლი ნოიერს სასამართლოში უჩივის

გერმანიის ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის“ კაპიტნის, მანუელ ნოიერის გარშემო სერიოზული სკანდალი აგორდა. ისტორიის შემოქმედია ტაქსის მძღოლი, ვინმე ჰაზირი, რომელიც გერმანულ პრესასთან საუბრობს და აპირებს, სახელოვან მეკარეს სასამართლოში უჩივლოს.

„რამდენიმე კვირის წინ, დილის ხუთ საათზე, ჩემი ტაქსით ოდენოპლაცზე ვიდექი. მანქანაში მანუელ ნოიერი ჩამიჯდა ვიღაც კაცთან ერთად. მაშინვე ვიცანი, მაგრამ არაფერი მითქვამს. ის ქალაქის სხვა რაიონში, ლეველში წავიყვანე, შემდეგ კი შინ დავბრუნდი და დავიძინე. როცა მანქანაში ჩავჯექი, უკანა სავარძელზე ტყავის საფულე ვიპოვე. გავხსენი და საფულეში საბანკო ბარათები, ნოიერის პირადობის მოწმობა და 800 ევრო იდო. პირადობაში მისამართი ეწერა და მითითებულ მისამართზე წავედი. მეზობელმა მითხრა, რომ მანუელი ამ სახლში იშვიათად მიდიოდა და სხვა მისამართი მომცა. შემდეგ იქ წავედი, არ დამხვდა და მესამე სახლში წავედი, სადაც მისმა თანაშემწემ გამომხედა და ნივთები ჩაიბარა. ორი კვირის შემდეგ , ნოიერისგან ამანათი მივიღე, სადაც მის მიერ ხელმოწერილი მაისური იდო. ეს ნორმალურია? მანძილი, რომელიც გავიარე, 400 ევროზე მეტი ღირს და მან მაისური გამომიგზავნა. არადა, მე 4 შვილი მყავს და ამ მაისურს ვერაფერში გამოვიყენებ. ვაპირებ, სასამართლოს მივმართო“, – განაცხადა ჰაზირმა.

ახლა ვნახოთ, რა წერია გერმანიის სამოქალაქო კოდექსში და რის საფუძველზე აპირებს ჰაზირი სასამართლოს მიმართოს.

„ყველა მპოვნელი ვალდებულია, 10 ევროზე ძვირადღირებული ნივთები, ან შესაბამისი თანხა დააბრუნოს და/ან პოლიციას გადასცეს. 500 ევრომდე ღირებულების თანხის, ან ნივთის მპოვნელს შეუძლია მოითხოვოს 5%, უფრო მეტის შემთხვევაში კი შესაძლებლობა აქვს, მოითხოვოს 8% და ნივთის დაბრუნებისთვის გაწეული ხარჯის ანაზღაურება“...

ჰოდა, ჰაზირი ახლა 400 ევროს ანაზღაურებას და პლუს ნაპოვნი ნივთების 8%-ს ითხოვს. ინტერნეტში კი უკვე წერენ, რომ საკმარისია, ტაქსის მძღოლმა მაისური აუქციონზე გაიტანოს, მისი ღირებულება რამდენიმე ათასი ევრო აუცილებლად იქნება.

ერთი ფოტოს ისტორია

ამ ფოტოზე ფეხბურთის სამი ლეგენდაა გამოსახული. ედსონ არანტეს დო ნასიმენტუ პელე და იმ დროისთვის მოქმედი ფეხბურთელები – დიეგო მარადონა და მიშელ პლატინი. დიეგოს მაისურზე აწერია – „არა ნარკოტიკს“, ხოლო პლატინის – „არა კორუფციას“. გავიდა წლები და დიეგომ ნარკოტიკებთან არსებული პრობლემების გამო, ჯერ კარიერა დაასრულა ნაადრევად, შემდეგ – სიცოცხლე, რაც შეეხება პლატინის, კორუფციული სკანდალის გამო, მას უეფას პრეზიდენტის პოსტი დააკარგინეს და ფეხბურთში მოღვაწეობა სამუდამოდ აუკრძალეს.

პარლამენტარებს გახდის ნება მისცეს

ბრიტანელ პარლამენტარებს ნება დართეს, სხდომების დროს უარი თქვან პროტოკოლურ ტანსაცმელზე, რადგან ქვეყანაში აუტანელი სიცხეებია. თემთა პალატის სპიკერის თქმით, ვიდრე დიდ ბრიტანეთში ცხელი ამინდია, პარლამენტის წევრებს შეუძლიათ, არ ატარონ პიჯაკები და ჰალსტუხები. შემოდგომაზე კი, როცა საკანონმდებლო ორგანო განაახლებს მუშაობას, აუცილებლად მკაცრ კოსტიუმებს დაუბრუნდებიან. სინოპტიკოსები ქვეყნის მასშტაბით ტემპერატურის კიდევ უფრო მომატებას პროგნოზირებენ – შესაძლოა, ჰაერის ტემპერატურა 40 გრადუსამდე ავიდეს. თუ ეს პროგნოზი დადასტურდა, 2003 წლის რეკორდი მოიხსნება, როცა ჰაერი 38.7 გრადუსამდე გაცხელდა.

ბუზების უფლებები დაიცვეს

გერმანიის ქალაქ ვოლფსბურგში მხატვრული ინსტალაცია მას შემდეგ აიღეს, რაც ცხოველთა უფლებების დამცველებმა იჩივლეს. როგორც ერთ-ერთი გამოცემა წერს, აქტივისტები მიიჩნევენ, რომ ბუზების უფლებები ირღვევა. საუბარია ბრიტანელი მხატვრის, დემიან ჰერსტის ინსტალაციაზე, სახელწოდებით – „ასი წელი“. ობიექტი შუშის ყუთს წარმოადგენს, სადაც ყუთის ერთ ნაწილში ბუზები იჩეკებიან, მეორეში კი – ულტრაიისფერი სანათი დგას. ბუზებს მისი შუქი იზიდავს და ყოველ ჯერზე, როცა მისკენ მიფრინავენ, ცოცხლად იწვებიან. იდეის ავტორის თქმით, მას ამგვარად სურდა ეჩვენებინა „სიცოცხლის ციკლი ყუთში“. ზოოდამცველების თქმით, ინსტალაცია არღვევს გერმანიის კანონს ცხოველთა დაცვის შესახებ. ცხოველთა მკვლელობას არაფერი აქვს საერთო ხელოვნებასთან, – განაცხადეს მათ. მუზეუმმა არ გაიზიარა მათი მოსაზრება, თუმცა ინსტალაცია მაინც აიღეს.

ფულს შიშველი ფეხებით შოულობს

დიდ ბრიტანეთში მცხოვრებმა ჯორჯ ვუდვილმა სამუდამოდ უარი თქვა ფეხსაცმელზე და შიშველი ფეხებით ფულის შოვნის საშუალებასაც მიაგნო, OnlyFans-პლატფორმის დახმარებით. 20 წლის მამაკაცმა, საკუთარი 20 წყვილი ფეხსაცმელი ათი თვის უკან მოიშორა და გადაწყვიტა, მთელი დარჩენილი ცხოვრება ფეხშიშველმა იაროს. ჯორჯის თქმით, ამ ნაბიჯმა მას თავისუფლების შეგრძნება აჩუქა და დეპრესია დაამარცხებინა. ფულის შოვნის იდეა კი მას შემდეგ გაუჩნდა, რაც სოციალურ ქსელში ერთ-ერთმა მეგობარმა მისი ტერფების ფოტოების გაგზავნა სთხოვა. ბრიტანელი ონლაინ-პლატფორმაზე დარეგისტრირდა და ერთ თვეში, ფოტოების გაყიდვით, 100 გირვანქა სტერლინგი იშოვა. ჯორჯი ამბობს, რომ ხშირად აწყდება საზოგადოების მხრიდან გაუგებრობას, მაგალითად, მაღაზიაში ან ღამის კლუბში შესვლისას. ამის გამო ის აპირებს, შეზღუდვების მოხსნისთვის ხელისუფლებლებას მიმართოს.

„ფასტფუდი“ იმუნურ სისტემას ანგრევს

გერმანელი სწავლულების მიერ ჩატარებულმა ახალმა კვლევებმა ცხადჰყო, რომ "ფასტფუდი" ნეგატიურად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე და მისი იმუნური სისტემის მუშაობას არღვევს. ბონის უნივერსიტეტის ექსპერტების თქმით, იმუნური სისტემა ისევე რეაგირებს მაღალკალორიულ და დიდი რაოდენობით ცხიმის შემცველ მავნე პროდუქტებზე, როგორც ბაქტერიულ ინფექციებზე და ორგანიზმის დაცვას ააქტიურებს. ერთი შეხედვით, თითქოს ეს კარგია, მაგრამ გამუდმებით ასეთი დაძაბული მდგომარეობა იწვევს ანთებას, რაც შესაძლოა, ისეთი დაავადებების განვითარების მიზეზი გახდეს, როგორებიცაა დიაბეტი და ათეროსკლეროზი. გარდა ამისა, იმუნური სისტემა მაშინაც კი აგრძელებს ანალოგიურად მოქმედებას, როცა ადამიანი კვების ჯანსაღ რაციონზე გადადის. ეს იმას უკავშირდება, რომ თანდაყოლილ სისტემას თავისებური მეხსიერება აქვს.

საუკეთესო რესტორანი დაასახელეს

დანიური რესტორანი Geranium, რომელიც „მიშლენის“ სამი ვარსკვლავის მფლობელია, 2022 წელს, მსოფლიოში საუკეთესო რესტორნად დაასახელეს. აღსანიშნავია, რომ რეიტინგის პრეზენტაცია მოსკოვში უნდა გამართულიყო, თუმცა ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, ის ლონდონში შედგა. ბრიტანეთის დედაქალაქს 2000-ზე მეტი პროფესიონალი ეწვია – გასტრონომიული მიმომხილველები, ექსპერტები და მსოფლიოს საუკეთესო დაწესებულებების შეფ-მზარეულები. The World’s 50 Best Restaurants უკვე 20 წელია არსებობს და ორიენტირია მილიონობით გურმანისთვის. რეიტინგი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ათასობით მზარეულის, კულინარიის მიმომხილველისა და რესტორატორის გამოკითხვების საფუძველზე დგება. რეიტინგში მოხვედრა ნებისმიერ რესტორანს შეუძლია – არ აქვს მნიშვნელობა, სად მდებარეობს და რა ზომისაა ის.

კვერცხი – კარგი მხედველობისთვის

ყოველკვირა კვერცხის მირთმევა აღკვეთს ასაკობრივ მაკულოდისტროფიას – პათოლოგიას, რომლის გამოც 50 წელს გადაცილებული ადამიანები მხედველობას კარგავენ. ასეთი დასკვნები ავსტრალიელმა სწავლულებმა გააკეთეს. სპეციალისტებმა ექსპერიმენტი 3654 ადამიანზე ჩაატარეს, რომლებსაც 15 წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ. შედეგად აღმოჩნდა, რომ იმ მოხალისეებს, რომლებიც ყოველკვირეულად 2-4 კვერცხს მიირთმევდნენ, 49%-ით ნაკლებად ჰქონდათ მაკულოდისტროფიის პრობლემა, ვიდრე მათ, რომლებიც კვირაში ერთ კვერცხს მიირთმევდნენ. ექსპერტების თქმით, კვერცხის მოხმარებასა და მხედველობას შორის არსებობს კავშირი, მაგრამ როგორი, ეს ჯერ არ დაუზუსტებიათ.

ლუდს ზეთში ცვლიან

გერმანიაში, მიუნხენის ლუდის პაბი კლიენტებს საშუალებას აძლევს, ქარვისფერი სასმელი მზესუმზირის ზეთზე გადაცვალონ. დაწესებულება ამგვარად ცდილობს, ამ პროდუქტის დეფიციტს შეებრძოლოს. „ეს აქცია იმიტომ წამოვიწყეთ, რომ სამზარეულოში ზეთი დაგვიმთავრდა. ამ პროდუქტის შოვნა ახლა ძალიან ძნელია. კვირაში თუ 30 ლიტრი გვჭირდება, მხოლოდ 15-ის შოვნის შესაძლებლობა გვაქვს“, – ამბობს ბარის მენეჯერი. ერთი ლიტრი დული გერმანულ პაბებში ამჟამად 7 ევრო ღირს. ერთი ლიტრი ზეთი, დაახლოებით – 4.5 ევრო. ასე რომ, პაბის შეთავაზება მეტად მაცდურია მყიდველებისთვის. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მაღაზიებში ზეთი მცირე რაოდენობითაა, რადგან ამ პროდუქტის მსოფლიო ექსპორტის 80% რუსეთსა და უკრაინაზე მოდიოდა.

სკოლის მოსწავლე მილიონერი გახდა

ამერიკელმა სკოლის მოსწავლემ იზაბელა ბარეტმა მოდის საკუთარი ბრენდი აამოქმედა და 15 წლის ასაკში, მილიონერი გახდა. ცნობილია, რომ ამჟამად ახალგაზრდა მეწარმის ქონება 2 მილიონ დოლარზე მეტია, მისი ხარჯები კი კვირაში 25 ათას დოლარს შეადგენს. პირველი მილიონი გოგონამ ტანსაცმლის ხაზითა და ბიჟუტერიით იშოვა, რაც მალევე, ძალიან პოპულარული და მოთხოვნადი გახდა. წარმატებული ბიზნესის წყალობით, იზაბელა კერძო ვერტმფრენით დაფრინავს, დროს ატარებს იახტებზე და თავს ძვირადღირებული საიუველირო ნივთებით იწონებს. გარდა ამისა, ის ხშირად ჩნდება ნიუ-იორკის მოდის კვირეულებზე, მონაწილეობს სილამაზის კონკურსებში და სხვადასხვა სატელევიზიო შოუებში.

დინოზავრის ნაკვალევი რესტორანში

ჩინეთის სამხრეთ-დასავლეთით, სიჩუანის პროვინციაში მდებარე ერთ-ერთი რესტორნის ეზოში, 100 მილიონი წლის წინ მცხოვრები დინოზავრის გიგანტური ნაკვალევი აღმოაჩინეს. სპეციალისტების თქმით, ნაკვალევი დინოზავრების ერთ-ერთ სახეობას – ზავროპოდს ეკუთვნის. მათ გრძელი კისერი და კუდი ჰქონდათ და დედამიწაზე ყველაზე დიდი ცხოველები იყვნენ. აღმოჩენის ადგილზე, ვიდრე აქ რესტორანს გახსნიდნენ, ქათმების ფერმა იყო, რის გამოც ნაკვალევი ჭუჭყით და ქვიშის სქელი ფენით იყო დაფარული. როდესაც რესტორნის მფლობელმა მისი დასუფთავება დააპირა, ნაკვალევიც სწორედ მაშინ აღმოაჩინეს.

დაავადებებს ცრემლის ანალიზით დაადგენენ

ჩინელმა ქიმიკოსებმა ნანომემბრანები შექმნეს, რომლებიც ადამიანის ცრემლის წვეთიდან ცილების მოლეკულების ყველა დაგროვებას იღებენ. მათი ანალიზის წყალობით, შესაძლებელია სხვადასხვა დაავადებების, კერძოდ დიაბეტის მშრალი თვალის სინდრომის დიაგნოსტირება. ნანომემბრანები ცილის კომპონენტებსა და მოკლე რნმ-მოლეკულებს აცალკევებენ, ცრემლში შემავალი მარილისგან ანტისხეულებისა და სხვა ნაერთებისგან. ამის შემდეგ დაავადებების ბიომარკერებს ადვილად გამოიკვლევენ.

ბროკოლი ანტიბიოტიკებს სჯობს

სწავლულებმა ისრაელიდან აღმოაჩინეს, რომ ბროკოლში, ყვავილოვან კომბოსტისა და სხვა ბოსტნეულში არსებული დიინდოლილმეტანი (DIM) ჭრილობებს ანტიბიოტიკზე ორჯერ უფრო სწრაფად ახორცებს. ამ ნივთიერებაზე დამზადებული საცხი ღორებზე გატესტეს. აღმოჩნდა, რომ ის ხელს უშლის ბაქტერიების სიცოცხლისუნარიანობას. ამის წყალობით, ჭრილობა ხუთ დღეში ხორცდება. ანტიბიოტიკების შეცველი პრეპარატებით კი ამ პროცესს ათი დღე დასჭირდა. სპეცალისტები ახლა სრულყოფილი საცხის შექმნაზე მუშაობენ, რომელსაც ადამიანებზე გამოიყენებენ. თუკი კვლევები წარმატებული აღმოჩნდება, ის ანტიბიოტიკებს ჩაანაცვლებს.

„ყუთებში“ ძილს სთავაზობენ

ამომავალი მზის ქვეყანაში, სამსახურში ძილისთვის, ვერტიკალური "საწოლები" წარადგინეს. აღნიშნავენ, რომ ბევრი იაპონელი ქრონიკულ დაღლილობას განიცდის სამუშაო დღის ხანგრძლივობის გამო. ამ ქვეყანაში სამუშაოზე, ტრანსპორტსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, დღისით ძილის პრაქტიკა მიღებულია, რასაც ინემურის უწოდებენ. ახალი Nap Box-ის ავტორების თქმით, მათ "ყუთში" ადამიანი ფეხზე მდგომი დაიძინებს, როგორც ფლამინგო. ამასთან, კაფსულის დიზაინი ისეა შემუშავებული, რომ მოხერხებული მდგომარეობა აქვს თავსაც, მუხლებსაც და ზურგსაც. ჯერჯერობით, სიახლის ღირებულება და ბაზარზე გასაყიდად გამოსვლის ვადები უცნობია.

მოკლულმა კოღომ ჩაუშვა

ჩინელმა სამართალდამცავებმა ქურდი მის მიერვე მოკლული კოღოს წყალობით დაიჭირეს. ქალაქ ფუჩჯოუში, პოლიციელები ბინაში მივიდნენ, სადაც ძარცვა მოხდა. კედელზე მათ მიჭყლეტილი კოღო და სისხლის წვეთები აღამოაჩინეს. სისხლის ნიმუში დნმ-ექსპერტიზაზე გადააგზავნეს, რის შედეგადაც დადგინდა, რომ სისხლი ქურდობისთვის უკვე ნასამართლევ მამაკაცს ეკუთვნოდა. სამართალდამცავებმა დამნაშავე მალევე დააკავეს.

ვენახებს იხვები იცავენ

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, კეიპტაუნის მახლობლად მდებარე ვენახებს, ყოველდღიურად, 1500-ზე მეტი იხვი იცავს. საუბარია იხვების განსაკუთრებულ ჯიშზე, რომელსაც ინდურ მორბენალს უწოდებენ. ეს სახეობა არ დაფრინავს, სიარულისას, სხეული ვერტიკალურად უჭირავს, როგორც პინგვინს და თანაც, განსაკუთრებულად მახვილი ყნოსვა აქვს. ამ ყნოსვის წყალობით, ეს ფრინველი-პატრული ვენახებს ლოკოკინებისგან, ჭია-მატლებისა და ხოჭოებისგან ასუფთავებს. მავნებლების ჭამის გარდა, იხვები ნიადაგსაც ანოყიერებენ. ვენახების მფლობელები ამაყობენ ამ იხვებით და მათ ვენახის ჯარისკაცებს უწოდებენ.

იუველირებმა რეკორდი დაამყარეს

ინდური საიუველირო კომპანია გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა. მისმა სპეციალისტებმა ერთი ბეჭედი 24 679 ბრილიანტით დამშვენეს. საუბარია SWA Diamonds-ის ფირმაზე. სწორედ მათი შექმნილია ბეჭედი, სახელწოდებით „ამი“, რაც სანსკრიტზე „უკვდავებას“ ნიშნავს. საიუველირო სამკაულის დიზაინი ვარდისებრ სოკოს ეფუძნება. სოკო უკვდავებასა და დღეგრძელობას განასახიერებს, – აცხადებს კომპანიის წარმომადგენელი. ბეჭედი 340 გრამია. სპეციალისტებმა ეს უნიკალური სამკაული 95 343 დოლარად შეაფასეს.

მიირთვით პური და გახდით

როგორც ესპანელი დიეტოლოგები ამტკიცებენ, გასახდომი დიეტის დაცვის დროს, პურზე უარის თქმა არაფრით შეიძლება. პირიქით, მისი წყალობით, გახდომის პროცესი უფრო ეფექტიანი იქნება. მადრიდის ლაპასის კლინიკის მედიკოსებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს, რომელშიც 122 ჭარბწონიანი ქალი მონაწილეობდა. მოხალისეები ორ ჯგუფად დაყვეს, თითოეული მათგანი, დღის განმავლობაში, მხოლოდ 1.5 ათას კალორიას იღებდა და ფიზიკურ ვარჯიშებს ასრულებდა. მეორე ჯგუფის წევრები კი პურსაც მიირთმევდნენ. ექსპერიმენტი 16 კვირის განმავლობაში გაგრძელდა და საბოლოოდ გაირკვა, რომ ყველა მონაწილემ წონაში თანაბრად დაიკლო, თუმცა ისინი, რომლებიც პურს მიირთმევდნენ, ემოციურად უფრო გაწონასწორებულნი და მშვიდები იყვნენ, ვიდრე ისინი, რომლებმაც მასზე უარი თქვეს. ამ უკანასკნელებისთვის დიეტის პროცესი უფრო მტანჯველი აღმოჩნდა, რაც მათ ფსიქიკურ მდგომარეობაზეც აისახა.

კონტაქტური ლინზები მასშტაბირების ფუნქციით

კალიფორნიისა და ხარბინის ტექნოლოგიური ინსტიტუტების სწავლულბმა უნიკალური კონტაქტური ლინზები შექმნეს, რომელიც საშუალებას იძლევა, თვალის ერთი მოძრაობით გამოსახულების მასშტაბი შეცვალოს. სურათის გასადიდებლად ან დასაპატარავებლად მომხმარებელმა მხოლოდ თვალი უნდა დაახამხამოს. გამოგონების მუშაობის პრინციპი ელექტროოკულოგრაფიას ეფუძნება. ყოველ ლინზას ხუთი ელექტროდი უერთდება, რომლებიც თვალის მოძრაობისას წარმოქმნილ ელექტრულ სიგნალს იღებენ. ელექტროდები თვალის კუნთის მსგავსად მოქმედებენ. ახალ კონტაქტურ ლინზებს შეუძლია ფოკუსის მანძილი 32%-ის ფარგლებში ცვალოს. სპეციალისტების თქმით, ეს მხოლოდ ადამიანის თვალს შეუძლია.

ჭარხალი – ტვინის სიჯანსაღისთვის

ბრიტანელმა სწავლულებმა ექსეტერის უნივერსიტეტიდან, ჯანმრთელობის სასარგებლო კიდევ ერთი პროდუქტი გამოიკვლიეს. ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ თუ ადამიანი რეგულარულად მიირთმევს ჭარხალს, აქტიურდება პირის ღრუს ბაქტერიების მოქმედება, რაც დადებით გავლენას ახდენს სისხლძარღვებისა და ტვინის სიჯანსაღეზე. ეს კი ხელს უწყობს ადამიანის ორგანიზმის ჯანმრთელად დაბერებას. ჭარხალი მდიდარია უჯრედისით, რაც იწვევს შაქრის მალევე შეწოვას. ასევე, ეს პროდუქტი ფოლიუმის მჟავას, ცე-ვიტამინის, კალიუმისა და ფოსფორის წყაროა, შეიცავს ბე-ჯგუფის ვიტამინებს, მინერალებს, რკინასა და იოდს. ჭარხალი მდიდარია ანტიოქსიდანტებითაც, მისი რეგულარული მოხმარება ხელს უწყობს თმის, კანისა და ფრჩხილების სიჯანსაღეს. უჯრედისის დიდი შემცველობის გამო კი, ჭარხალი უებარი წამალია შეკრულობის დროს.

იაპონელების დღეგრძელობის საიდუმლო გაშიფრეს

ამომავალი მზის ქვეყნის მცხოვრებლების სიცოცხლის ხანგრძლივობა სხვა ხალხებთან შედარებით დიდია, რაც მათი კვების განსაკუთრებული სისტემის დამსახურებაა. საშუალოდ, იაპონელები 84 წელს ცოცხლობენ. ქვეყნის ყველაზე უხუცესი ადამიანი 1903 წელს დაიბადა. აღსანიშნავია, რომ მათ მაინცდამაინც არ უყვართ სპორტი, მაგრამ ახერხებენ კვების ისეთი სისტემის ფორმირებას, რომლითაც ჯანმჯრთელობასა და ტონუსს ინარჩუნებენ. იაპონელების კვების პირველი წესი მრავალფეროვნებაა. ყოველი ჭამისას, მენიუშია: ხორცი, ბოსტნეული, თევზი, ბრინჯი და ხილი. მეორე წესია საკვების ნელა დაღეჭვა, რაც საშუალებას იძლევა, ნაკლები მიირთვან და საკვების გემოც კარგად შეიგრძნონ. გარდა ამისა, იაპონელები საკვებს ძალიან არ ამუშავებენ, შემწვარს იშვიათად მიირთმევენ, პროდუქტს ძირითადად ორთქლზე ამზადებენ ან ხარშავენ. მეოთხე წესი, რომელსაც იაპონელები მისდევენ, ასეთია – სჯობს, მიირთვა თევზი ან ზღვის პროდუქტები, ვიდრე ხორცი, რადგან მასში ჯანმრთელობისთვის მავნე უამრავი ელემენტია, რაც სხვადასხვა ქრონიკულ დაავადებებს იწვევს.

უფროსებისთვის რძე საშიშია

რძე ერთ-ერთ ყველაზე უფრო სასარგებლო პროდუქტად მიიჩნევა, თუმცა არა უფროსი ადამიანებისთვის. როგორც ამერიკელმა სწავლულებმა განაცხადეს, ჩვენი პლანეტის მოსახლეობის მხოლოდ 30%-ს შეუძლია აითვისოს ეს პროდუქტი. ადამიანების უმრავლესობას რძე სწყენს და ხშირად, ვერც კი ხვდებიან. როგორც კვლევებმა აჩვენა, რძისა და რძის პროდუქტების ნორმალურად ათვისების უნარი აზიის მოსახლეობის მხოლოდ 5%-სა და აფრიკის მოსახლეობის 25%-ს აქვს. პროდუქტის ათვისების უნარს ადამიანების უმრავლესობა ადრეულ ასაკში კარგავს – 2-დან 5 წლამდე, ამიტომ მოზრდილ ასაკში მის მოხმარებას თან სდევს ისეთი უსიამოვნო სიმპტომები, როგორებიცაა დიარეა, მუცლის შებერილობა, მეტეორიზმი და სხვა, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მუშაობასთან დაკავშირებული პრობლემები. რძის სწორად ათვისებისთვის ორგანიზმს სჭირდება ისეთი ფერმენტების არსებობა, რაც უფროს ადამიანებს არ აქვთ ან შეზღუდული რაოდენობით აქვთ.

მდიდრებს შავგვრემანი ქალები მოსწონთ

მილიარდერს რომ გაჰყვე ცოლად, შავგვრემანი უნდა იყო, – ასეთ რჩევას ამბიციურ ქალებს ამერიკული ინტერნეტ-კომპანია "ლიკოსი" აძლევს. მან პლანეტის ყველაზე მდიდარი მამაკაცების გემოვნება გამოიკვლია და ერთმნიშვნელოვან დასკვნამდე მივიდა: "ჯიბესავსე" ჯენტლმენები უპირატესობას მუქთმიან მანდილოსნებს ანიჭებენ. გამოკვევის ავტორებმა საკმაოდ შეძლებული ძლიერი სქესის 100 წარმომადგენელი გამოკითხეს და გაარკვიეს, რომ მათ დიდ უმრავლესობას – 78%-ს, ცხოვრების მუქთმიანი თანამგზავრი ჰყავს. ამასთან, 62%-ს შავთმიანი ქალები მოსწონს, 16% კი უპირატესობას "მწეველ შავგვრემნებს" ანიჭებს. რესპონდენტი მდიდარი მამაკაცებიდან მხოლოდ 22%-მა დაუკავშირა ცხოვრება ქერა ქალს. რასაკვირველია, კაცებს გართობა ქერებთანაც შეულიათ, მაგრამ ცოლად შავგვრემნებს ირჩევენ, რადგან თმის მუქი ფერი მათში სტაბილურობისა და ერთგულების ასოციაციას იწვევს, – აღნიშნავენ მკვლევარები.

მძღოლებს დემონსტრანტების გადათელვის უფლება მისცეს

ფლორიდის გუბერნატორმა, რონ დესანტისმა ახალ კანონს მოაწერა ხელი, რომელიც სამართალდამცავების დემონსტრანტების აგრესიისგან დასაცავად და იმ პროტესტების ჩახშობისკენაა მიმართული, რომელიც ძალადობაში გადადის. ეს ყველაზე მკაცრი კანონია ქვეყანაში არეულობების წინააღმდეგ. მსგავსი არსად არ არის, – განაცხადა გუბერნატორმა. დოკუმენტში ნათქვამია, რომ „ბუნტი“ წესრიგის საჯარო დარღვევაა სამი ან მეტი ადამიანის მიერ, რომლებიც „მუშაობენ კოლექტიურად იმ განზრახვით, რომ ძალადობრივ და ხულიგნურ ქმედებებში ერთმანეთს დაეხმარონ“. ახალი კანონით, მძღოლებს ენიჭებათ იმუნიტეტი, თუკი ისინი გზის გადამკეტავ დემონსტრანტებს გადათელავენ. ფლორიდის გუნერნატორი იმასაც ითხოვს, გაიზარდოს ჯარიმის ოდენობა სამართალდამცავებზე თავდასხმის გამო. თუკი ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები ხელს შეუშლიან პოლიციას დემონსტრაციის დაშლაში, ისინი დაჯარიმდებიან.

კოლგოტები ზარმაცებისთვის

ხდება ხოლმე, რომ სუსტი სქესის წარმამდგენლებს დრო არ აქვთ ფეხის ფრჩხილებზე ლაქის წასამელად, ან ეზარებათ ამის გაკეთება. ამ პრობლემის მოგვარება იაპონელებმა გადაწყვიტეს – მათ კოლგოტები გამოუშვეს წინასწარ წასმული მანიკურით. დიზაინერებმა საკუთარი ქმნილებებისთვის უამრავი ფერი და ნახატი გამოიყენეს ცრუ-ლაქისგან, რომელიც ქალებს ნებისმიერი შემთხვევისთვის შეუძლიათ შეარჩიონ. მეტიც, სავსებით შესაძლებელია, რამდენჯერმე გამოიცვალონ კოლგოტი და ფრჩხილების ლაქი ჩაცმულობას, ანდა სულაც, განწყობას შეუხამონ. ასე რომ, მშვენიერო ქალბატონებო, როცა შემდგომში, ფეხის ფრჩხილების შეღებვას გადაწყვეტთ, დაფიქრდით, ხომ არ გირჩევნიათ, უკვე მზა დიზაინის მქონე კოლგოტით ჩაანაცვლოთ? ამბობენ, ეს უფრო იაფი ჯდება, რადგან დიდხანს ძლებსო.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.